გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
**შაბათი, 3 სექტემბერი,** 2005 წელი.
№208 (5241)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკად-რისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. **ფასი 50 თეთრი.**



იხ. მე-2 გვ.

## ბექაური – შენ, რამიშვილი – მე, არჩევანი ტელემაყურებლებს...

## აქლემებით რბოლა საქართველოს პრიორიტეტისთვის



იხ. მე-2 გვ.

„საიდუმლო სეროზის“ მეორე მონაწილე პარლამენტარი კობა ბექაური იყო. მისი როლი მთელ ამავე საქმეში ერთობ უკუღმართულია და არა იმიტომ, რომ ის „ნასედკაა“, რომ მან „ჩაუშვა“ და ა.შ. (კაცმა რომ თქვას, თუ ვინმე მართლა 100 ათას დოლარს გძალავს, რატომ არ უნდა ჩაუშვა!). აქ საქმე ის არის, თუ რატომ შენ გძალავდა, რატომ აგირჩია ამხელა თანხის გამოძალვის ობიექტად, ანუ, პოტენციურ გადამხდელად, საიდან, რა მანქანებით იშოვე ამხელა ქონება ასე ელვის სისწრაფით?

## ⊙ ინფორმაცია

### პატრიარქი პოლონეთს წაბრძანდა

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II 2 სექტემბერს, პოლონეთში გაემგზავრა. როგორც საპატრიარქოს პრესცენტრის მოადგილემ ზურაბ ცხოვრებაძემ განუცხადა, პატრიარქს პოლონეთში შეხვედრები ექნება მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვართან უწმინდეს საბასთან. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ვარშავის საკათედრო ტაძარში მასთან ერთად ერთობლივ წირვა-ლოცვას აღავლენს.

ილია მეორეს პოლონეთში ვიზიტისას შეხვედრა ექნება ასევე კათოლიკური ეკლესიის ლიდერთან, ეწვევა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკს.

### ცესკოს ვარაუდით...

26 სექტემბრამდე ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელსაც 1 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის სურვილი აქვს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება უნდა შეიტანონ.

როგორც ცესკოში განაცხადეს, ამ დროისთვის დამკვირვებლის სტატუსი არასამთავრობო ორგანიზაციის „არჩევნებისა და მმართველობის ინსტიტუტს“ აქვს მინიჭებული.

განცხადება ცესკოში უკვე შეტანილი აქვს „სამართლიან არჩევნებს“, აშშ-ს რესპუბლიკურ ინსტიტუტსა და „დემოკრატიის ცენტრს“.

ცესკოში ვარაუდობენ, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი გაიზრდება.

### ზურაბ ჟვანიას ძმა ეჭვს გამოთქვამს

რუსული საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ძმა გიორგი ჟვანია ახლო მომავალში ზურაბ ჟვანიას დაღუპვის მიზეზების შესახებ საგანგებო განცხადების გაკეთებას აპირებს.

გიორგი ჟვანია დარწმუნებულია, რომ მისი ძმა მოკლეს, ამასთან, ის ეჭვს გამოთქვამს, რომ ყოფილი პრემიერის მკვლელობის საქმე მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში არ გაიხსნება. იგი აცხადებს, რომ მისი ძმის დაღუპვასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება გარდაცვლილის ოჯახთან არ თანამშრომლობს.

– ჩემი ძმის დაღუპვის მიზეზებთან დაკავშირებით ახლო მომავალში სერიოზული და სკანდალური განცხადების გაკეთებას ვაპირებ, – აცხადებს გიორგი ჟვანია.

## ერთხელ გაზომილი და ასჯერ გაჭრილი...



იხ. მე-2 გვ.

კარგა ხანია ევროპის განვითარებული ქვეყნები წამხედურობის საგნად გავიხადეთ, მაგრამ ზოგჯერ უნიჭო მიბაძვაც კი არ გამოგვდის.

დღეს ევროპაში ასეა და ყოფილ საბჭოეთშიც ასე იყო: გზების რესტავრაცია ღამის საათებში, ანუ მაშინ მიმდინარეობდა, როცა ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის ჭაჭანება აღარ იყო.

## პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინებით



იხ. მე-3 გვ.

უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობა და რუსეთის სს „გაზპრომი“ დადებენ ხელშეკრულებას გაზის მოწოდების, ტრანზიტისა და ინვესტირების შესახებ, რომელიც ის საძირკველი გახდება, რაზეც შემდგომ გრძელვადიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა გაგრძელდება.

## 9 შვილი

### წიქარიშვილების ახდენილი ზღაპარი

იხ. მე-4 გვ.



## ⊙ პანორამა

საზღვრების შესახებ ხელშეკრულებებში მონაწილეობაზე რუსეთის უარის პასუხად ესტონეთი იმუქრება, რომ დაბლოკავს რუსეთის ფედერაციასა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებას. ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ტოომას-ჰენიკ ილვესი აცხადებს, რომ სავიზო რეჟიმის გამარტივების წინადადებისთვის მხარის დაჭერა შეუძლებელი იქნება, თუ რუსეთი გამოიხმობს სასაზღვრო ხელშეკრულებებზე დადებულ თავის ხელმოწერებს. „სად არის ის საზღვარი, რომლის გადაკვეთაც რუსეთელებს სურთ გამარტივებული წესით?“, – იკითხა ილვესმა.

* * *

ნორვეგიის ქალაქ ტრონსიოში სამმა ხუთი წლის ბავშვმა მოახდინა სენსაცია არქეოლოგიაში. მათ საკუთარი სახლის შესასვლელთან იპოვეს ვიკინგების ეპოქის ნამდვილი საგანძური. ჯაჭვსა და ბალთაზე ამოკვეთილი ორნამენტი მოწმობს, რომ ნაპოვნია საგნები, რომელთა ასაკი ათას წელს აღემატება.

* * *

გაეროს რუსი თანამშრომელი ვადიმ კუზნეცოვი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დააკავეს ეგრეთ წოდებული „ფულის გათეთრების“ ბრალდებით. ამერიკის „ეი-ბი-სი“ ტელეარხის მონაცემებით, კუზნეცოვი გაეროს საბიუჯეტო კომიტეტის თანამშრომელია. იგი მეორე რუსი მოხელეა გაეროში, რომელიც ამ ბოლო კვირეების განმავლობაში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააპატიმრა „ფულის გათეთრების“ ბრალდებით.

* * *

ლაბრადორის ჯიშის ძაღლი, სახელად „კარლი“ ტყეში გამოედევნა ციყვს, თუმცა, მღრღნელი მოულოდნელად შემობრუნდა და ეცა მდევარს. ციყვი კბილებით ჩააფრინდა ძაღლს ყელში და მთელი 30 წამის განმავლობაში ჩამოკიდებული იყო მასზე. საბრალო ლაბრადორს 25 ნაკერი დაადეს.



## მერს, რომელიც ვერაფერ საბჭოურს ვერ იტანს, თავისი პიონერულყელსახვევიანი სურათი გამოუფინეს

იხ. მე-2 გვ.



## ნატოს ცენტრი ბათუმში

**ბათუმში ნატოს საინფორმაციო ცენტრის გახსნა გუშინ უამინდობის გამო გადაიდო.**

**ცერემონიას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი და აჭარის მთავრობის მეთაური ლევან ვარშალომიძე უნდა დასწრებოდნენ. ღონისძიება, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება.**

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საინფორმაციო ცენტრის გახსნას ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. უახლოეს მომავალში, ნატოს საინფორმაციო ცენტრი თელავშიც გაიხსნება.

აღნიშნული ცენტრების გახსნის მიზანი საზოგადოების ინფორმირებაა. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება დეტალური ინფორმაციები მიიღოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ნატოში გასაწევრიანებლად საქართველოს სტრატეგიის შესახებ.

ცენტრების გასახსნელად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, დაახლოებით 90 000 ლარი დაიხარჯება.

* * *

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ბათუმში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან გაფართოებულ შეხვედრაზე მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ საქართველო რეგიონში ლიდერი უნდა იყოს და მთელი კავკასიის საგარეო პოლიტიკა უნდა განსაზღვროს. მისი თქმით, საქართველოს ელჩებს ქვეყნის პოლიტიკაში გადამწყვეტი როლი ეკისრებათ.**

როგორც ჟურნალისტებს გაეროში საქართველოს ელჩმა რევაზ ადამიამ განუცხადა, საუბარი, ძირითადად, ევროინტეგრაციას, ევროკავშირში და ნატოში საქართველოს გაწევრიანებას შეეხებოდა. სალომე ზურაბიშვილმა ქართველ ელჩებს ევროკავშირთან აქტიური მოლაპარაკებისკენ, რუსეთთან ახალი ურთიერთობებისაკენ და საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვისაკენ მოუწოდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ⊙ ფეხბურთი

**გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი –**

**საქართველო – უკრაინა 0:3.**

**დღეს, 20 საათსა და 15 წუთზე ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მეგობარ სახელმწიფოთა ეროვნული ნაკრები გუნდები ითამაშებენ.**

## ერთი ღმერთი – სხვადასხვა მიდგომა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მართლმადიდებლები ▶ | ბავშვს ნათლავენ დაბადებიდან 40 დღის გასვლის შემდეგ | პირჯვარს იწერენ სამი თითით მარჯვნიდან მარცხნივ | ეკლესიებში წირვა-ლოცვის დროს ფეხზე დგანან მართლმადიდებლურ ეკლესიებში არის ხატები | მღვდელს უფლება აქვს ჰყავდეს ცოლი | კალენდარი იულიანური აქვთ | ლიტურგიის დროს ლოცულობენ, მღერიან – ა კაპელა | სწამთ, რომ არსებობს სამოთხე, ჯოჯოხეთი | განქორწინება დასაშვებია |
| კათოლიკები ▶ | ბავშვის პირველი ზიარება და საეკლესიო მრევლში მიღება ხდება მაშინ, როცა იგი 7-12 წლისაა | პირჯვარს იწერენ მარცხნიდან მარჯვნივ ორი თითით | ტაძრებში წირვა-ლოცვის დროს ჯდებიან ხატები არა აქვთ | კათოლიკე მღვდელს არ შეიძლება ჰყავდეს ცოლი | კალენდარი გრიგორიანულია | მესა ხანმოკლეა და სრულდება ორღანის აკომპანიმენტით | სწამთ, რომ არსებობს სამოთხე, განსაწმენდელი, ჯოჯოხეთი | განქორწინება დაუშვებელია |



კვირის თვალსაწიერი

# აქლემებით რბოლა საქართველოს პრიორიტეტისთვის

**მთელი ეს კვირა ორი „მოვლენით" იყო გაჯერებული: ტელეარხ „202"-ის დამფუძნებლისა და წამყვანის შალვა რამიშვილის ფულის გამოძალვის ბრალდებით დაკავების გამო ატეხილი ხმაურითა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის „პროფილის შეცვლის" შედეგად გამოწვეული საყოველთაო დრტვინვით.**

შალვა რამიშვილი დიახაც იმ რანგის ჟურნალისტია, რომლის დაპატიმრებასაც უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა ხმაური. თუმცა, საზოგადოებრიობისთვის ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა სწორედ ამ კატეგორიის ბრალდება.

შალვა ერთობ არაორდინარული პიროვნებაა. იგი არ უფრთხის საზოგადოების შოკირებას მოულოდნელი და უმრავლესისთვის უჩვეულო, ხშირად სრულიად მიუღებელი მოსაზრებებითა და გამოთქმებით. სწორედ ამ გამორჩეულობით დაიმკვიდრა თავისი ადგილი მედიაში.

იგი „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი მესაყვირე და ტრუბადური იყო. თამამი მხილებებითა და „დარდუბალით" მანაც გამოაცალა ერთი აგური შევარდნაძის ხელისუფლების ციტადელს.

მით უფრო მოულოდნელი იყო მისი მეტამორფოზა, როცა მძაფრ კრიტიკოსად ექცა ხელისუფლებას. ამიტომ ვარაუდობს ხალხი, რამიშვილი პოლიტიკური დევნის მსხვერპლიაო, დინების წინააღმდეგ სვლა არ აპატიეს, მახეში გააბეს და თავიდან მოიცილესო.

იმაში, რომ შალვა რამიშვილს თავისი ტელებატალიები არ აპატიეს, უდავოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი, ოღონდ ესეც სათქმელია: ფარული კამერით გადაღებული ოპერატიული მასალა ერთობ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ამას ისიც ემატება, რომ შალვა რამიშვილის იმედი, საიდუმლო შეხვედრის ადგილის „დიასახლისი" ჩემს უდანაშაულობას დაადასტურებსო, არ გამართლდა: როგორც გამოძიება აცხადებს, იმ ქალბატონმა უფრო დაამძიმა დაკავებულის მდგომარეობა – 100 ათასი დოლარის აღების შემთხვევაში შალვა 5000 დოლარს შემპირდაო.

ერთი სიტყვით, ჟურნალისტის თავს შავი ღრუბლები დაიგრაგნა. აშკარად ჩანდა, რომ სასამართლო თავის გადაწყვეტილებას სამ- [illegible]

[illegible] არის, თუ რატომ შენ გძალავდა, რატომ აირჩია ამხელა თანხის გამოძალვის ობიექტად, ანუ, პოტენციურ გადამხდელად, საიდან, რა მანქანებით იშოვე ამხელა ქონება ასე ელვის სისწრაფით?

ოღონდ, მე მას ხელაღებით ბრალს ვერ დავდებ ზოგიერთივით. უბრალოდ, კითხვას ვსვამ და ამ კითხვაზე პასუხი მაინტერესებს. და მე ერთადერთი როდი ვარ.

ბევრს აინტერესებს, თანაც არა მხოლოდ ოპოზიციურ წრეებში, სადაც კობა ბექაურისგან საპარლამენტო უმრავლესობის ერთგვარი „განზოგადებული" სახის ძერწვა დაიწყეს.

რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. მართალია ბექაურისთანა ყოჩაღი ბიჭების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა დრომ მოიტანა, ისინი, ასე ვთქვათ, დროის პროდუქტი არიან, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს მთელი საპარლამენტო უმრავლესობა ერთი არშინით გავზომოთ. თუნდაც იმის გამო, რომ ბექაურთან დაკავშირებით იქ აზრთა სხვადასხვაობაა. ეს ამბავი, მაგალითად, ბოლო წვეთი აღმოჩნდა დავით ზურაბიშვილისთვის და მან ფრაქცია დატოვა. მწვავე შეკითხვებს სვამს ელენე თევდორაძე, ალბათ – სხვებიც. ისე რომ, უმრავლესობის 4 სექტემბრისთვის დაგეგმილი შეკრება ალბათ, მთლად მშვიდად არ ჩაივლის.

ჯერ თავისი პოზიცია არ გამოუთქვამს ბატონ პრეზიდენტს. არავინ იცის, რამდენად სოლომონისეული იქნება მისი გადაწყვეტილება, მაგრამ, ლოგიკის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილს ხელს არ უნდა აძლევდეს ასეთი მრავალი ეჭვის აღმძვრელი კაცის გვერდით ყოფნა, რომელიც სწორედ ამ ეჭვების გამო სახელს ულახავს ნაციონალურ მოძრაობას. ხომ თვალის დაუხამხამებლად მოიცილეს თავიდან პარლამენტარი კენჭაძე, თუმცა მისი საქმის ჩაფარცხვა სრულიად იოლად შეიძლებოდა, საზოგადოება ვერც შეიტყობდა მის მიერ ქრთამის აღების ფაქტს: არ დაიჭერდნენ, ფულის აღებამდე აახევდნენ ყურებს, გააგდებდნენ და მორჩებოდა. მაგრამ ხელისუფლებამ სწორად გათვალა, რომ ფაქტის გახმაურება უფრო მეტ პოლიტიკურ დივიდენდებს მოუტანდა მას – არ გვაშინებს ჩვენს რიგებში ულირსის აღმოჩენა, დანაშაულს არავის ვაპატიებთ!

და ამან იმუშავა კიდეც.

ყველა ელის, რომ უმრავლესობა ამჯერადაც ასე მოიქცევა: გამოიძიებს ვინ არის, რა კაცია ბექაური (რომელზეც არც აქამდე ისმოდა საქებარი სიტყვები), საიდან აქვს, რაც აქვს... თორემ იმაში, რომ კორუფციის გამოსავლენად „სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა დასაწუნი არ არის", რა თქმა უნდა, გიგა ბოკერია მართალია.

სხვაგვარად მთელი ეს ამბავი „მედიაში კორუფციის გამოვლენის" კამპანიის დაწყებად აღიქმება, როგორც თავის ნაუცბათევ გან- [illegible]

**[illegible]**

ალეკო ასლანიშვილი

პროტესტი

# მერს, რომელიც ვერაფერ საბჭოურს ვერ იტანს, თავისი პიონერულყელსახვევიანი სურათი გამოუფინეს


გიორგი მუხაძე

**უკვე ყველა იცნობს თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს გიორგი მუხაძეს, ვინც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან დაკავშირებული გახმაურებული მოვლენების დღეებში ტელევიზიით თვალცრემლიანმა განაცხადა, თუ სასახლეს წაგვართმევთ, გავიზრდები და ყველას ცხვირში ამოგადენთო.**

გიორგი სასახლის სხვა აღსაზრდელებთან ერთად ყოველდღე შენობაში ტრიალებს და აღელვებული ადევნებს თვალს, როგორ განვითარდება მოვლენები.

ჯერჯერობით კი, მოსწავლეებისა და პედაგოგების პროტესტის მიუხედავად, თბილისის მერი გიგი უგულავა გადაწყვეტილებას არ ცვლის. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მომხრეთა რაოდენობაც დღითიდღე მატულობს.

„რატომ გვავიწყდება, რომ საქართველოში ერთადერთი პლანეტარიუმი არსებობს სასახლეში სპეციალური მოწყობილობით, რომლის გადატანა სხვაგან არ შეიძლება, რომ დავშალოთ, არც მისი ამწყობი სპეციალისტები არ არსებობენ.

რატომ გვავიწყდება, რომ სასახლეში არის უმდიდრესი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. სასახლემ მიზერული ბიუჯეტით შეძლო მისი მოვლა და სად მიგვაქვს ეს ბიბლიოთეკა? – ასე მიმართავდა დარბაზს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის განყოფილების გამგე ნინელი ჩიხლაძე.

მან გაიხსენა ტელევიზიით ნინო ანანიაშვილის გამოსვლა, როდესაც პრიმა-ბალერინა „პატივისცემით უთმობს სასახლის 7 ათას აღსაზრდელს იმ შენობას, სადაც თურმე ცუდი პირობების გამო 135 ბავშვი ვერ ეტევა?!"

შეკრებაზე თემურ ქურხულის გვარიც გახმიანდა, რომელმაც მერის გადაწყვეტილებას შეუცვლელი უწოდა.

„არავინ იფიქროს, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ სხვა შენობაში გადასვლას გულისხმობდეს. ეს არის სასახლის დაშლა და ბრძოლა იმ ღვთაებრივი და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ, რომელიც ღვივდება სასახლეში", – თქვა მსახიობმა ელდინო საღარაძემ.

„საქენერგოს" ყოფილმა თანამშრომელმა მანანა ძოწენიძემ შეკრებილთ აცნობა, რომ ნინო ანანიაშვილმა, საბალეტო სკოლისთვის ჯერ „საქენერგოს" შენობა ამოირჩია, შემდეგ ეს არ იკმარა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესაც გადასწვდა.

– ნინო ანანიაშვილის პროფესიონალიზმის წინაშე ქედს აღარ ვიხრით! – ისმოდა შეძახილები დარბაზიდან.

სასახლის ყოფილმა აღზრდილებმა: ადვოკატმა ლევან ჩხეიძემ, მსახიობმა მიხეილ კინწურაშვილმა, არქიტექტორმა პეტრე ფილინმა, ნელი გუგუშვილმა და სხვებმა, სასახლის აღზრდილებს მოუწოდეს გვერდით დაუდგნენ მას ამ ძნელბედობის ჟამს.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში იქმნება საინიციატივო ჯგუფი, ოფიციალური წერილები დაეგზავნებათ არა მარტო თბილისის მერს, არამედ საქართველოს პრეზიდენტს, აგრეთვე – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

ეს სასახლე ბავშვებს უნდა დარჩეთ, – ასეთი იყო შეკრებილთა განწყობა. მათ გიგი უგულავას მოსწავლეობისდროინდელი სურათი გამოფინეს და ის პერიოდი შეახსენეს, როდესაც იგი აქ სწავლობდა...

რატომ არ შეიძლება მერმა შეცდომა აღიაროს და გადაწყვეტილება შეცვალოს? – კითხულობდნენ პედაგოგები და მოსწავლეები.

თამარ შაიშმელაშვილი

ინფორმაცია

## უსინათლოების განცხადება პირველია...

**შეზღუდული** შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებმა 1 ოქტომბრის შუალედური მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 6 სექტემბრამდე განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ან შესაბამის საოლქო კომისიებს, რათა მათ ხმის მიცემა გამარტივებული წესით შეძლონ.

პირველი ასეთი განცხადება „უსინათლოთა კავშირის" წარმომადგენლებმა შეიტანეს. როგორც ცესკოში განაცხადეს, უსინათლოები კომისიის თავმჯდომარეს გია ქავთარაძეს შეხვდნენ და მათთვის სპეციალური ბიულეტენების დაბეჭდვა მოითხოვეს.

ცესკომ უსინათლოებს ოფიციალური თანხმობა განუცხადა და 1 ოქტომბერს უსინათლოები ხმას სპეციალური ბიულეტენების საშუალებით მისცემენ.

## კანდიდატი ჩივის

**დამოუკიდებელი** კანდიდატი შალვა ცერცვაძე, რომელსაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ისნის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრა, სასამართლოში ჩივილს აპირებს.

ცერცვაძე კანდიდატად საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა, მაგრამ, როგორც ცესკოში განაცხადეს, დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამო ის რეგისტრაციაში არ გაატარეს.

ცერცვაძემ ცესკოს წინააღმდეგ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში შეიტანა. სასამართლო პროცესი 5 სექტემბერს გაიმართება.

## ეუთოს პოლიციელები თბილისში

**საქართველოში** ეუთოს წარმომადგენლობის ცნობით, ეუთოს პოლიციის ექსპერტთა ჯგუფი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას შეხვდა.

სამინისტროში ეუთოს ეგიდით ხუთთვიანი მოკლევადიანი დახმარების პროგრამა მიმდინარეობს, რომლის მიზანიცაა პოლიციელების მუშაობისთვის ხელშეწყობა და პირადი შემადგენლობის მართვის სისტემის გაძლიერება.

მოკლევადიანი დახმარების პროგრამა ეუთოს მისიის საექსპორტო პაკეტის ნაწილია, რომელიც პოლიციაში წარმატებული რეფორმების გატარებაში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ითვალისწინებს.

## „რეპორტიორის" ფილმზე ტაციობაა!

**კობა** ბექაურის ბიზნეს-საქმიანობის შესახებ მომზადებული ფილმის ეთერში გაშვებას სტუდია „რეპორტიორს" რამდენიმე ტელეკომპანია სთავაზობს.

საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის თამარ კინწურაშვილის განცხადებით, ფილმის გაშვებისთვის თანხმობის მოსაპოვებლად მან დღეს წერილით მიმართა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" და ევრაზიის ფონდის ხელმძღვანელობას. სწორედ ამ ფონდების მიერ არის დაფინანსებული „რეპორტიორის" ჟურნალისტური გამოძიება.

„მზად ვარ დავუთმო ეთერი კობა ბექაურის ბიზნეს-საქმიანობის შესახებ სტუდია „რეპორტიორის" მიერ მომზადებულ ფილმს, რადგან ამ ფილმისადმი ინტერესი ძალიან დიდია", – განაცხადა კინწურაშვილმა.

კობა ბექაურის ბიზნეს-საქმიანობის შესახებ მომზადებული ფილმის ეთერში გაშვებას სტუდია „რეპორტიორს" ტელეკომპანია „იმედიც" სთავაზობს. ამის შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანიის ვებ-გვერდზეა განთავსებული.

ინტერპრესნიუსი

# არას გვარგებს დაჟინებული პოზიცია

**ამ დღეებში საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა ქ. თბილისის მერიის გადაწყვეტილება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ვ. ჭაბუკიანის სახელობის სასწავლებელზე გადაცემის თაობაზე.**

ყველამ იცის, თუ რა დიდი როლი შეასრულა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ ქართული კულტურის, კონკრეტულად, თეატრის განვითარების საქმეში. აქ, თეატრალურ წრეში გადადგეს პირველი ნაბიჯები ქართული თეატრის დღევანდელმა ოსტატებმა. ამ სასახლის წრეებში გამეფებული გახლავთ შემოქმედებითი ატმოსფერო, ახლა კი, პატარა შენობაში გადასვლის შემდეგ, იქმნება საშიშროება, დაინგრეს ის, რაც მოგვიპოვებია, დაიფანტნონ პედაგოგები, რომლებიც ფლობენ აღზრდის, მოზარდებში ნიჭის აღმოჩენისა და გაღრმავების ხელოვნებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება მიესალმება ჩინებული მოცეკვავის ნინო ანანიაშვილის თბილისში დაბრუნებას, ამასთანავე შეახსენებს მას, რომ იგი დაბრუნდა თეატრში, რომელშიც საბალეტო ხელოვნების კორიფენი მოღვაწეობდნენ. დიდი შემოქმედნი, რომლებსაც სხვა, უფრო მაღალი ანაზღაურების სცენებზე არ გაუცვლიათ თბილისის საოპერო თეატრი და მაშინ არ დაბრუნებიან მშობლიურ სცენას, როცა შემოქმედებითი რესურსები იწურებოდა. ისინი აქ, მშობლიურ თეატრში იღვწოდნენ და მომავალ თაობებს ამ საბალეტო სკოლაში ზრდიდნენ. აქვე აღიზარდა თავად ნ. ანანიაშვილი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იმასაც მიესალმება, რომ ნინო ანანიაშვილი საბალეტო სკოლას ჩაუდგა სათავეში.

ჩვენ გვჭირდება კარგი მოცეკვავეები, მაგრამ ასევე გვჭირდება კარგი მსახიობები, ტექნიკოსები, მომღერლები, რეჟისორები. ამ პროფესიებისადმი სიყვარულს კი მოზარდებს წლების განმავლობაში უღვივებს მოსწავლეთა სასახლე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება მოუწოდებს ქ-ნ ნინო ანანიაშვილს გაუფრთხილდეს შემოქმედებით ღირსებას, მაყურებლის სიყვარულს. მსახიობის, ჩინებული მოცეკვავის ნიჭს არ უნდა სძლიოს ადმინისტრატორის, ხელისუფლებასთან სიახლოვის გზით მიღებულმა პიროსის გამარჯვების სურვილმა.

ამასთან, გამოვხატავთ გულისტკივილს ქალაქის მერიის დაჟინებული პოზიციის გამო. ქალაქის მერია უფრო მეტ ანგარიშს უნდა უწევდეს საზოგადოებრივ აზრს და თავისი წინდაუხედავი გადაწყვეტილებებითა და სიჯიუტით ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებებს არ უნდა თესავდეს ახალ თაობაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება უერთდება საზოგადოებრივ აზრს – აცხადებს პროტესტს მოზარდი თაობის ინტერესების უგულებელყოფის გამო და მოუწოდებს ქალაქის ხელისუფლებას აუჩქარებელი, გაწონასწორებული გადაწყვეტილებებისაკენ.

გიგა ლორთქიფანიძე,
საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

SIC!

# ბექაური – შენ, რამიშვილი – მე, არჩევანი ტელემაყურებლებს...

**წინა პროცესის მსგავსად, გუშინდელი სასამართლო პროცესიც პატარა დარბაზით გამოწვეული უკმაყოფილებით დაიწყო. პროცესზე დასწრების უამრავი მსურველი დერეფანში დარჩა. მე ჩემმა ციდანახევრობამ მიშველა და ხელებს შორის დავუძვერი კარებში მდგარ დაცვას. ხალხმრავლობის გამო დარბაზში შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის შემოყვანა გააჭიანურეს. – ვენაცვალე შევარდნაძეს, ის დიდ დარბაზში მაინც გვასამართლებდაო, – ეს ჭყლეტვამ ათქმევინა ზვიად ძიძიგურს. საბოლოოდ, იქ შეკრებილთა ნაწილს დარბაზი დაატოვებინეს და სასამართლო პროცესიც დაიწყო.**



დავით კორკოტაშვილისა და გოჩა სვანიძის გარდა გამოძალვაში ეჭვმიტანილებს ალექსანდრე ბარამიძეც და საერთაშორისო სამართლებრივი ცენტრის წარმომადგენელი პრინცი ჰანს ფონ რაქსენ-ალტენბურგიც იცავდნენ. იმის გამო, რომ ბრალდება მხოლოდ კობა ბექაურის ჩვენებას ეყრდნობოდა და ვერ დაადასტურა, რომ ეჭვმიტანილთათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება იყო აუცილებელი, დაცვის მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება გაასაჩივრა.

– მათ ბექაურის სიტყვის გარდა არაფერი აქვთ, თქვენ კი ჩემი სიტყვა გაქვთ, – ტელემაყურებლებს მიმართა შალვა რამიშვილმა, – უნდა აირჩიოთ ან გარეწარი ბექაურის სიტყვა, ან ჩემი.

რაკი პროკურორი კვლავაც რევაზ კაპანაძე იყო, წინა პროცესზე დამსწრე საზოგადოებამ უკვე იცოდა, რისი მოლოდინი შეიძლებოდა ჰქონოდა (თქვენ, ალბათ, გახსოვთ, საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე მან საქმის ცოდნით თავი ვერ გამოიჩინა). თუმცა, ამჯერად მას მოსამართლე ჯორბენაძე დიდად შველოდა – დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებს განუმარტავდა.

– ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა პროკურორმა. ეს არის წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა პროცესის შემდეგ.

კითხვაზე – რა სახელგამტეხი ცნობის შემცველი ფილმის დაბლოკვაში იძლეოდა ფულს დაზარალებულად ცნობილი კობა ბექაური – პროკურორმა პასუხი ვერ გასცა, რაკი გამოძიებას ეს ვიდეომასალა არ უნახავს. ამასთან, კაპანაძის თქმით, ის არ იზიარებს დაცვის მოსაზრებას და ბექაურის მიერ რამიშვილისთვის ფულის გადაცემის ფაქტში დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავს. ამას დარბაზიდან ძიძიგურის წამოძახილი მოჰყვა: – სჯობს გაიზიარო, რადგან მაინც დაიჭერენ ბექაურსო.

მე თავს არ შეგაწყენთ იმ დეტალების აღწერით, რომელიც გუშინდელ პროცესზე ბრალმდებელთან შედარებით დაცვის მხარის აშკარა უპირატესობას უსვამდა ხაზს. იმას კი გეტყვით, რომ წინა პროცესის შემდეგ გამოძიებას ბრალდება ახალი მტკიცებულებებით არ გაუმდიდრებია. მათ სატელეფონო ზარებიც არ შეუმოწმებიათ, რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა კობა ბექაურის სიტყვებს, რომ მას გამუდმებით ურეკავდნენ რამიშვილი და კოხრეიძე.

ადვოკატი გოჩა სვანიძე დაინტერესდა, დაუყოვნებლივ რატომ არ დაიკითხა ბინის პატრონი ირმა სტეფნაძე. მისი თქმით, თვითმხილველის 4 დღის შემდეგ დაკითხვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევაა. გამომძიებელმა ამაზე უპასუხა, ასე ჩავთვალეთ საჭიროდ. ადვოკატის აზრით, ეს ფაქტიც მიუთითებს, რომ გამოძიება ზემდგომთა დავალებას ასრულებს. ეს მოსაზრება სვანიძეს თურმე იმანაც განუმტკიცა, რომ გამოძიება არც კი დაინტერესდა, სინამდვილეში არსებობდა თუ არა ბექაურის სახელის გამტეხი ინფორმაცია.

– არ შეიძლება, ვარაუდებს დავეყრდნოთ. მე თუ ვინმემ დამირეკა და მითხრა, კომპრომატები მაქვს შენზეო, იმას არ ნიშნავს, რომ ფული უნდა გადავუხადო. მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის უნდა მეშინოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარა არარეალურია, – აღნიშნა ადვოკატმა. ამდენად, ბექაურს უნდა სცოდნოდა, კონკრეტულად რით აშანტაჟებდნენ, თუმცა, გამოძიებას მისი უსიტყვოდაც სჯერა.

საყურადღებო იყო დავით კოხრეიძის შეკითხვა, რომლითაც მან ბრალმდებელს მიმართა. შეგახსენებთ, რომ დაკავებამდე მისი გვარი კობა ბექაურის ჩვენებაში ნახსენები არ იყო. ამდენად, ის რამიშვილთან ერთად დააკავეს როგორც მოწმე და არა როგორც ეჭვმიტანილი (ეს სტატუსი მას მოგვიანებით, ბექაურის მომდევნო ჩვენების შედეგად მიაკუთვნეს). კოხრეიძე დაინტერესდა, მასთან ერთად რატომ არ დააკავეს სტეფნაძე, როგორც მოწმე. ჯერჯერობით, ბრალდების მხარეს არც ამ შეკითხვაზე აქვს დამაჯერებელი პასუხი.

საერთაშორისო სამართლებრივი ცენტრის წარმომადგენლის აზრით, პროკურატურამ საკმაო მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველო ევროსაბჭოს წევრია და ქართულთან ერთად ევროპული კანონმდებლობაც უნდა გაითვალისწინოს. – იმის გამო, რომ რომელიღაც დეპუტატმა და პროკურორმა რაღაც თქვეს, ეს ორი ადამიანი ციხეში არ უნდა იჯდეს, – აღნიშნა ჰანს ფონ რაქსენ-ალტენბურგმა.

ეჭვმიტანილებს, ადვოკატებსა და შეკრებილი საზოგადოების დიდ ნაწილს იმედი არ ჰქონდათ, რომ პროცესი მათ სასარგებლოდ დასრულდებოდა. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, ირონიულად სთხოვა რამიშვილმა მოსამართლე ჯორბენაძეს – ვიცით, როგორ გადაწყვეტილებასაც გამოიტანთ და წინა პროცესის მსგავსად, ხუთი საათით ნუ გააჭიანურებთ მის გამოცხადებასო. **თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას მაინც რამდენიმე საათი დასჭირდა, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.**

რუსუდან გახარია

დედაქალაქი

# ერთხელ გაზომილი და ასჯერ გაჭრილი...

**თბილისის ქუჩებში დანგრეული ასფალტის საფარის ახლით შეცვლის ისტორია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტიდან იღებს სათავეს და დედაქალაქის მთავრობა ბეჯითად მიჰყვება მაშინ ანთებულ მწვანე შუქს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამ საქმეში მუნიციპალიტეტის ქაოსური და არათანამიმდევრული მოქმედებები კრიტიკის თვალითაა შესახედი.**

მოსახლეობის უკმაყოფილებას, უპირველეს ყოვლისა, დღისით-მზისით, გახურებული და გადატვირთული მოძრაობისას ქუჩების გადაკეთება იწვევს. რიგიანი გზების დაგების საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ მსუბუქი მანქანებისა და სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ეს შემოვლითი გზებით სიარული არ ეჭაშნიკებათ, მით უმეტეს ახლა, როცა საწვავის ფასები პროცენტიანი ვალივით, დღითიდღე იზრდება.

უკმაყოფილების პირველმიზეზი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ, ჭავჭავაძის გამზირის გადაკეთება იყო. გვახსოვს, მაშინ ქალაქის მერიამ ამ სამუშაოების ორიოდ კვირაში დასრულების პირობა დადო, მაგრამ დაპირება დაპირებადვეა დარჩენილი და ვაკის ცენტრალური გზა დღესაც გადაკეტილია.

თუმცა იმის მიუხედავად, რომ მერიას ადრე დაწყებული ჯერაც არ დაუსრულებია, ხელი ახალ სამუშაოებსაც მიჰყო და მელიქიშვილის ქუჩა ჩახერგა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, წამოწყება მისასალმებელია, მაგრამ საქმის მოთავება დაპირებას, სამუშაოებს 7-8 დღეში მოვრჩებითო, წინანდელი იაღლიშის გამო, მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებს.


თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

აქვე, ავტომობილთა სამოძრაო გზებზე ლაპარაკისას, ორიოდ სიტყვის თქმა ტროტუარებზეც არის საჭირო, სადაც მდგომარეობა იმგვარია, კაცმა არ იცის, ვინ როდის წაიტეხს კისერს. სარემონტო სამუშაოების დაწყება სულაც იქიდან იქნებოდა მართებული.

თბილისში ავტომფლობელთ ქვეითად მოსიარულენი ჯერ ისევ ჭარბობენ და მათ კომფორტზე თუ არა, სხეულის ზოგიერთი ნაწილის უსაფრთხოებაზე ზრუნვა აუცილებელია.

ყველამ ვიცით, ასჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გაჭრა. თბილისის გზებს ასჯერ გაზომილისა, ღმერთი, რჯული, არაფერი ეტყობა, გაჭრილი კი იმდენჯერაა, ვერ დათვლი.

ჯაბა ხუბუა

**P.S. კარგა ხანია ევროპის განვითარებული ქვეყნები წამხედურობის საგნად გავიხადეთ, მაგრამ ზოგჯერ უნიჭო მიბაძვაც კი არ გამოგვდის.**

**დღეს ევროპაში ასეა და ყოფილ საბჭოეთშიც ასე იყო: გზების რესტავრაცია ღამის საათებში, ანუ მაშინ მიმდინარეობდა, როცა ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის ჭაჭანება აღარ იყო.**

**ჩვენთან სხვაგვარადაა. როგორც ჩანს, თბილისელ მუშებსა და საქმისთავებს, ღამე ძილის გატეხვა ეზარებათ.**

პოზიცია

## ლაშა თაბუკაშვილი:

# ნინო ანანიაშვილი თავად იტყვის უარს მოსწავლეთა სასახლეზე

**მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები და მასწავლებლები 100 ათასი ადამიანის მობილიზებასა და პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ.**

**„სასახლე ჩვენია და არავის დავუთმობთ“, ამ ლოზუნგით გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ საპროტესტო აქციას ხელჩაკიდებული ბავშვები მართავდნენ.**

**„ნინო ანანიაშვილს ვთხოვთ, ნუ წაგვართმევს ბავშვობას!“, ასეთი წარწერები გუშინ ბავშვებმა სასახლის წინ ასფალტზე დატოვეს.**

**ინტერპრესნიუსი აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, მწერალ ლაშა თაბუკაშვილს ესაუბრა.**

***— რამდენად მიზანშეწონილია მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კერძო საბალეტო სტუდიისთვის გადაცემა?***

— ეს კატასტროფა იქნება. თუკი ხელისუფლება მიიღებს გადაწყვეტილებას და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე რომელიმე კერძო პირის ხელში ჩავარდება, ამით იმ ასი ათასობით თბილისელის ბავშვობა და ბიოგრაფია გადაიხაზება, რომლებმაც საკუთარი ულამაზესი წლები ამ სასახლეში გაატარეს. ეს ამ პიროვნებებისთვის უდიდესი ფსიქოლოგიური სტრესი იქნება.

***— სასახლის კერძო პირისათვის გადაცემის ინიციატორები აცხადებენ, რომ ე.წ. პიონერთა სასახლე კომუნისტური გადმონაშთია...***

— ეს, ელემენტალურად, უვიცობაა, რადგან მათ არ იციან, რა ხდებოდა, რა შემოქმედებითი სული ტრიალებდა ამ კედლებში. საკმაოდ ლაღი ცხოვრებით ცხოვრობდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ათეული წლის დავდიოდი. ჩემი პედაგოგი ცხონებული ფაცია პაიჭაძე იყო, რომლის სული ახლა, ალბათ, ფორიაქობს. ეს არ არის მატერიალური მომენტი. პიონერთა სასახლე ჩვენთვის მისტიური მომენტია. ამ კედლებში უამრავი ცნობილი ადამიანი გაიზარდა. უბრალოდ, ბევრი აღარ არის ცოცხალი და საკუთარ აზრს ვერ გამოთქვამს. არ მგონია, რომ ასე იოლად დავთმოთ ეს სახლი.

***— ხომ არ არის ეს ქალაქის მერიის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ყველასთვის ცნობილია საქართველოს პრეზიდენტის და ზოგადად, ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ნინო ანანიაშვილისადმი...***

— არ მგონია, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. თავისთავად ეს გადაწყვეტილება გამაოგნებელი, დამთრგუნველი და გაუგებარია.

***— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნინო ანანიაშვილის მეუღლე აღნიშნული შენობის შესყიდვას აპირებს...***



განმავლობაში. ამ სასახლეში არანაირი იდეოლოგიური წნეხი არ შეინიშნებოდა. იყო საკმაოდ თავისუფალი ცხოვრება და საკმაოდ თავისუფალი ხალხიც გავიზარდეთ, რაც შემდგომში დავამტკიცეთ კიდეც. ამ სასახლეში სინათლე იყო. ამ ერთი სიტყვით შეიძლება გადმოიცეს ის გრძნობა, რაც აქ სწავლის დასრულების შემდეგ ყველას დაგვებადა. აქ ერთმანეთის დაბეზღებას კი არა, საქართველოს სიყვარულს გვასწავლიდნენ.

***— თქვენ რომელი წრის აღსაზრდელი იყავით?***

— მე ახალგაზრდა მწერლების წრეზე

— ამის შესახებ არაფერი გამიგია. ნინო ანანიაშვილს უდიდეს პატივს ვცემ, არა მხოლოდ როგორც მოცეკვავეს, არამედ მოღვაწესაც და დარწმუნებული ვარ, რომ თავად იტყვის უარს ამ შენობაზე. უბრალოდ, ახლა დაბნეულია.

***— ნინო ანანიაშვილი საზოგადოებაში შექმნილმა უარყოფითმა აზრმა დააბნია?***

— არა. ამიტომ არა. უბრალოდ, საბოლოოდ როცა გაერკვევა სიტუაციაში, მაშინ იტყვის უარს.

**მარიკა ბოჭორიძე,**
**ინტერპრესნიუსი**

# ახლა ბავშვებს მივადექით?!

**30 აგვისტოს ტელევიზიით გავიგე საშინელი, გამაოგნებელი, აღმაშფოთებელი ამბავი — თურმე ქალაქის მერიის (თუ პირადად მერის) გადაწყვეტილებით აპირებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის არსებით გაუქმებას, სხვა შენობაში მის გადატანას და აქ, ახალგაზრდობის ამ 65-წლიანი ტრადიციის მქონე სასახლეში საბალეტო სტუდიის განთავსებას...**

არ ვიცი, რა ვთქვა! ხალხო, თბილისელებო, როგორ შეიძლება ამას ყოველივეს შევურიგდეთ?! ესეც რეფორმაა? ესეც დიდებულ რეფორმატორთა გამანადგურებელი გარდაქმნების გაგრძელებაა?! უმაღლეს სასწავლებლებს ვანგრევთ, მეცნიერებათა აკადემია კრიზისულ მდგომარეობაშია, და ახლა ბავშვებს, მომავალ თაობას მივადექით?!

მე უდავოდ ქედს ვიხრი ქართული საბალეტო ხელოვნების წინაშე, დიდად გავიხარებ მისი აღორძინებით და ვაფასებ ნინო ანანიაშვილის დამსახურებას, მაგრამ ამიტომ ეს მრავალპროფილიანი, ეროვნული მუხტით გაჯერებული, დიდებულ მოღვაწეთა შემოქმედებით სახელმოხვეჭილი, ჩვენი ბავშვების ღირსეულად აღმზრდელი ტაძარი მოვსპოთ? ნინო ანანიაშვილს უცხოეთში მრავალწლიანმა ყოფნამ თუ ეროვნული გრძნობა არ დაუჩლუნგა, თვითონ უნდა თქვას უარი ასეთ გაცვლაზე.

მე ძირძველი თბილისელი ვარ, ამასთან, თბილისის საპატიო მოქალაქე და მაქვს უფლება ჩემი განწყობილება გამოვთქვა სათაყვანო ქალაქის ხელმძღვანელობის მოქმედებებზე. აქამდე მე მერიის ღონისძიებებს არ შევწინააღმდეგებივარ, მათი ნამოქმედარი, ზოგი მომწონს, ზოგი — არა, მაგრამ ასეთ რამეს მერიისგან და თვით მერისგანაც არ ველოდი.

იციან კი ამ „რეფორმის“ ავტორ-ინიციატორებმა, რას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ახალგაზრდობის სასახლე, რა უზარმაზარი დამსახურება მიუძღვის მას ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაში, იციან კი ვინ და როგორ მოღვაწეობდა აქ, ვისი ნათელი სული ტრიალებს ამ ტაძარში?! მგონია, არ იციან და არც უნდათ, რომ იცოდნენ.

მე ამ დაწესებულებაში ჯერ კიდევ 1939 წ. მოვხვდი, როცა ის სულ სხვა შენობაში, „ზემელზე“ იყო განლაგებული და „ახალგაზრდული ცენტრი“ ეწოდებოდა. შემდეგ გადავედით რუსეთის მთავარმართებლის ყოფილ სასახლეში (1941 წ.) და მთელი საზოგადოება აღტაცებული იყო ამ ფაქტით.

მიუხედავად სახელწოდებისა — „პიონერთა სასახლე“ — აქ „პიონერებს“ არ ზრდიდნენ. ეს იყო დიდებული კერა ბავშვების ღირსეულ მოქალაქეებად, პირველ რიგში მამულიშვილებად, საქართველოს პატრიოტებად აღზრდისა. „პიონერთა სასახლე“ კიდევ ერთი მაგალითია იმისა, როგორ ახერხებდნენ გარკვეული პიროვნებები და ჯგუფები, საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიური ზეწოლის პირობებშიც კი, დიდი ეროვნული საქმე ეკეთებინათ.

ასეა დღესაც — უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში: სასახლეში იღვწიან შესანიშნავი პედაგოგები, აფრთიანებენ უნიჭიერეს ბავშვებს — ხვალინდელი საქართველოს აღმშენებლებს.

ქალაქის მერი ამბობს, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია და ერთ-ერთ არგუმენტად მოაქვს ის, რომ შენობა მუნიციპალური საკუთრებაა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ესა თუ ის დაწესებულება რამდენი ხანი არის აქ განთავსებულიო. არა, ბატონო მერო, თქვენი პოზიცია იურიდიულად კი არის სწორი, მაგრამ არსებობს სხვა უფრო მაღალი კრიტერიუმები. „ახალგაზრდობის სასახლის“ შენობა მუნიციპალიტეტს არ ეკუთვნის, იგი მთელ თბილისს, უფრო მეტიც, მთელ საქართველოს ეკუთვნის, ესაა ეროვნული ტაძარი და მისი ხელყოფა არც ერთ სახელმწიფო მოხელეს, რა დონისაც უნდა იყოს ის, არ შეუძლია, ამის მორალური უფლება არავის არა აქვს!

**ნოდარ ლომოური,**
**პროფესორი,**
**თბილისის საპატიო მოქალაქე.**

თანამშრომლობა

# პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინებით

**უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობა და რუსეთის სს „გაზპრომი“ დადებენ ხელშეკრულებას გაზის მოწოდების, ტრანზიტისა და ინვესტირების შესახებ, რომელიც ის საძირკველი გახდება, რაზეც შემდგომ გრძელვადიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს. ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოში შპს „გაზექსპორტის“ წარმომადგენელს დავით მორჩილაძეს.**

— ხელშეკრულებაში, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, სამი მთავარი მომართულებაა გამოკვეთილი: **რუსეთიდან საქართველოში გაზის შემოტანა, საქართველოს ტერიტორიის გავლით გაზის ტრანზიტი სომხეთში და ჩვენს ქვეყანაში „გაზპრომის“ ინვესტიციური აქტივობა,** — აღნიშნა ბატონმა დავით მორჩილაძემ. — მინდა გითხრათ, რომ სამივე პუნქტი მხარეებისთვის მეტად მომგებიანია, ამიტომ ვფიქრობთ გრძელვადიანი ხელშეკრულების დადებას. თუკი მისი ხანგრძლივობა, ვთქვათ, 10-15 წელი იქნება, ეს გარემოება საქართველოს ენერგეტიკის სტაბილურობის სოლიდური გარანტი გახდება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია არ შეექმნას ფორს-მაჟორული სიტუაციები გაზმომარაგებასთან დაკავშირებით.

ბატონ დავით მორჩილაძის განცხადებით, ამ, ასე ვთქვათ, „საბაზისურ“ ხელშეკრულებაში არ იქნება გათვალისწინებული გაზის ფასი, ტრანზიტის კონკრეტული პირობები და ა. შ. მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ **ამით მოხდება სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარირება, რაც შემდგომ დიდად გააადვილებს უკვე სხვა, კონკრეტულ ხელშეკრულებებზე მუშაობას.**

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არცერთი მხარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტში (რომელთა საბოლოო რედაქციით ჩამოყალიბება ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს), რაიმე შეღავათის მიღებას არ ცდილობს. ასეთ პრინციპზე აგებული ხელშეკრულებები, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ყოველთვის პოზიტიური შედეგის მომტანია. ხელშეკრულების პრაქტიკულად ამოქმედების შემდეგ იგი საქართველოს ენერგეტიკული სტაბილურობის სერიოზული გარანტი გახდება, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში გაცილებით მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს შექმნის.

***— რა გავლენა შეიძლება იქონიოს სს „გაზპრომთან“ ურთიერთობაზე მომავალში ბაქო-ერზრუმის გაზსადენის ამოქმედებამ, როცა საქართველოს გაზის მიღების ალტერნატიული წყარო გაუჩნდება?***

— მე არ გამოვიყენებდი ტერმინს „ალტერნატიული“. ცხადია, ყოველთვის სჯობია, რომ არსებობდეს გაზის მიღების არა ერთადერთი, არამედ რამდენიმე წყარო. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ბაქო-ერზრუმის გაზსადენი უნდა განვიხილოთ არა როგორც ალტერნატიული, არამედ როგორც დამატებითი წყარო. **ეს მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის.**

ამასთან, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ რაიმე მონოპოლისტური მისწრაფებები სს „გაზპრომს“ საქართველოში არა აქვს.

საუბრისას ბატონი დავით მორჩილაძე შეეხო გაზის ტრანზიტის საკითხს, რომელიც საქართველოსთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან გატარებული გაზის 10 პროცენტი ქვეყანაში რჩება, ხოლო მომავალში ანაზღაურება ფულადი სახსრებით მოხდება. თუმცა ისიც კია, რომ, ტრანზიტის ტარიფზე, სხვა პირობებზე რაიმე კონკრეტულის თქმა ჯერჯერობით ნაადრევია, ეს შემდგომ მოლაპარაკებათა საგანია.

ხელშეკრულების მესამე სტრატეგიული მიმართულება კი საქართველოში სს „გაზპრომის“ ინვესტიური აქტივობაა, რომელიც, ცხადია, ასევე ორივე მხარისთვის მეტად საინტერესოა.

— სს „გაზპრომისთვის“ ეს მიმართულება მიმზიდველია იმიტომ, რომ იგი დინამიურად განვითარებადი კომპანიაა და მზად არის მონაწილეობა მიიღოს ყველა ახალი, პერსპექტიული პროექტის განხილვაში, — აღნიშნა ბატონმა დავით მორჩილაძემ. — ინვესტირებისადმი საქართველოს ინტერესს მით უმეტეს ის გარემოებაც ზრდის, რომ ახლა ლაპარაკია არსებული დეფიციტის გაზოტურბინებით გამომუშავებული ელექტროენერგიით შევსებაზე, რასაც, ცხადია, გაზი სჭირდება.

ბატონმა დავით მორჩილაძემ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ საზოგადოებამ, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რეგიონების თუ ცალკეული რაიონების გაზიფიკაციაში, კერძოდ, გაზოენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაში, სადაც ამას ქვეყნის მთავრობა ჩათვლის საჭიროდ. მისი თქმით, **შპს „გაზექსპორტის“ წარმომადგენლობის წინაშე ამოცანა სწორედ ისეა დასმული, რომ მან ორივე მხარისთვის საინტერესო პროექტები მოიძიოს, თუმცა ისიც კია, რომ ინიციატივა ქართული მხარისგან უნდა მოდიოდეს, ვინაიდან ურთიერთობა კეთილ ნებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.**

— ამდენად, მომავალი ხელშეკრულების სამივე ძირითადი პუნქტის განხორციელება — გაზის შემოტანა, ტრანზიტი და ინვესტირება — ორივე მხარის ინტესებშია, ანუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეგვიძლია ვიმუშავოთ როგორც კარგმა, საიმედო პარტნიორებმა, — ასეთია ბატონ დავით მორჩილაძის იმედისმომცემი, ოპტიმისტური განწყობა.

***— არსებული ინფორმაციით, ახლო მომავალში მოსალოდნელია მომხმარებელთათვის გაზის საფასურის გაზრდა. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?***

— ამ საკითხზე შპს „გაზექსპორტი“ იმუშავებს უშუალოდ გაზის მომხმარებლებთან. თუკი ხელშეკრულება დროულად გაფორმდება, კონკრეტული კონტრაქტების დადება იმ საიმედო პარტნიორული ურთიერთობების კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითი იქნება, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობასა და სს „გაზპრომს“ შორის.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ჩვენი დოსიე**



**დავით მორჩილაძე, დაიბადა 1964 წელს. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლობდა ხელოვნების მეორად ფაკულტეტზე. მუშაობდა თბილისის მართვის ევროპულ სკოლაში (ESM) ბიზნეს-სტატისტიკის კათედრის გამგედ, შემდეგ რუსეთში საქართველოს საელჩოს აპარატში. ამავე დროს შექმნა მაღალი ტექნოლოგიების ფარმაცევტული ფირმა „პარაფარმი“, ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი მოძრაობა „პრეობრაჟენიე“. თანამშრომლობს საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოებთან.**

**2004-05 წლებში იყო სს „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი, წლეულს ივნისიდან — საქართველოში შპს „გაზექსპორტის“ წარმომადგენელი.**



ინფორმაცია

### ამომრჩევლები ხელს „ელექტრონულად“ მოაწერენ

**ეფექტიანი მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიამ გუშინ საქართველოს პარლამენტში სხდომა გამართა, რომელზეც შეიდი კანონპროექტი და სხვა დამატებით დოკუმენტები განიხილეს.**

**კომისიის მიერ მომზადებული კანონპროექტებით, უქმდება სოფლებში, დაბებში, თემებსა და ქალაქებში სადღეისოდ არსებული თვითმმართველობები და ამ დასახლებული პუნქტების პირველი პირების არჩევითი ორგანოები.**

**კანონპროექტით გათვალისწინებულია ელექტრონული ციფრული ხელმოწერა (ე.წ. ეცხ), როცა ყველა მოქალაქე პერსონალური კომპიუტერით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწვდენს ხმას საკუთარ საკრებულოებსა, თუ გამგეობებს და თავისი პრობლემების შესახებ საქმის კურსში ჩააყენებს. ასევე გათვალისწინებულია ახალი სამინისტროს — რეგიონალური განვითარების სამინისტროს შექმნა.**

### ლატვიელებიც დაგვეხმარებიან...

**საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი ლატვიის საპარლამენტო დელეგაცია გუშინ თბილისში ლატვიის საპატიო კონსულს რეგინა იაკობიძეს შეხვდა. როგორც ლატვიის საპატიო კონსულის წარმომადგენლობაში განაცხადეს, 5-დან 7 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისში ქართული და ლატვიური არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება, სადაც საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება-განმტკიცებაზე იმსჯელებენ.**

**კონფერენციაში, სავარაუდოდ, 10-მდე ლატვიური არასამთავრობო ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ კონფერენციას ლატვიის პრეზიდენტი ვაირა ვიკე ფრაიბერგიც შეუერთდეს, რომელიც საქართველოს 5 ოქტომბერს ეწვევა.**

### გაღმა შეედავეთ...

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მიმართ პროვოკაციული ქმედებისთვის საქართველოს პროტესტი განუცხადა. საგარეო პოლიტიკური უწყების ცნობაში ნათქვამია, რომ ქართული მხარის პროვოკაციული ქმედება „დაბრკოლებებს უქმნის კოლექტიური სამშვიდობო ძალების ფუნქციონირებას, რომელიც კონფლიქტის რაიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ამოცანას ასრულებენ“.**

**ქართულმა მხრემ 31 აგვისტოს სამშვიდობო ბატალიონის ავტომანქანები დააკავა, ავტომანქანები მხოლოდ საქმეში კოლექტიური ძალების სარდლობის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს, ამასთან, სამხედრო მომსახურებისთვის გათვალისწინებული ტვირთის ნაწილი კოლექტიური სამშვიდობო ძალებისთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ.**

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამგვარი აქციების შეწყვეტას და დაკავებული ტვირთის დაუყოვნებლივ სამშვიდობოებისთვის დაბრუნებას მოითხოვს.**

### ჯერ საპროექტო სამუშაოები, შემდეგ — ფუნდამენტი

**ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილ ახალ გაზოტურბინებს საქართველოში ამერიკელი სპეციალისტები დაამონტაჟებენ.**

**როგორც კომპანია „ენერჯი ინვესტის“ პრეზიდენტმა გენადი მალაზონიამ განაცხადა, ახალი გაზოტურბინები, რომელმაც საქართველოს ენერგოსისტემას დამატებით 110 მეგავატის სიმძლავრე უნდა შესძინოს, ამერიკიდან საქართველოში სექტემბრის მეორე ნახევარში ჩამოვა.**

**ინტერპრესნიუსი**

ინოვაცია

# „პროკრედიტ ბანკთან“ ურთიერთობა იოლია და მეგობრული

**ამას თავად „პროკრედიტ ბანკის“ გენერალური დირექტორი ფილიპ ზიგვარტი ამბობს. მაგრამ ხომ შეიძლება ბატონი ზიგვარტი საკუთარ ბანკს რეკლამას უკეთებს და მეტი არაფერი? მაგრამ თუ ეს ყველაფერი რეალური საქმეებით არის ხორცშესხმული?**

სწორედ ამაზე მინდოდა მეთქვა. „პროკრედიტ ბანკმა“, რომელიც საქართველოში 1999 წლიდან გამოჩნდა, უკვე მოიპოვა აღიარება ქვეყანაში. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ჩვენთან ამ მოკლე ხნის მანძილზე მოასწრო გაეხსნა 24 ფილიალი, რომლებიც აღჭურვილი არიან ბანკომატებით და კლიენტებს კვირაში 6 დღე ემსახურებიან. თავად განსაჯეთ: „პროკრედიტ ბანკს“ დღეს ყველაზე დიდი ბანკომატების ქსელი აქვს მთელ საქართველოში. ბანკი გახლავთ „პროკრედიტ ბანკების“ საერთაშორისო საბანკო ჯგუფის წევრი, რომელიც მოიცავს 19 ბანკს მსოფლიოს 3 კონტინენტზე.

წელს ჟურნალმა „გლობალ ფინანსემ“ „პროკრედიტ ბანკი“ დაასახელა 2005 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში. გამარჯვებულის შერჩევის კრიტერიუმები იყო აქტივების ზრდა, რენტაბელობა, სტრატეგიული კავშირები, კლიენტთა მომსახურება და სხვა ინოვაციური პროდუქტები.

ყოველივე ამის შემდეგ მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ „პროკრედიტ ბანკი“ რეალური საქმეების მკეთებელია, თანაც ინოვატორი. ეს ამ დღეებშიც გამოჩნდა, როცა ბანკმა, პირველმა საქართველოს საბანკო სივრცეში, მომხმარებელს შესთავაზა ახალი, თანამედროვე, უსაფრთხო ვიზა ჩიპ-ელექტრონისა და კლასიკის ბარათები.



რით გამოირჩევა ეს გლობალური სტანდარტის ბარათები? იმით, რომ მათ აქვთ დამატებითი მეხსიერება, რაც მაგნეტური საფარისგან განსხვავებით, საშუალებას იძლევა ბარათზე აკუმულირებული ინფორმაციის განსაზღვრული მოცულობა განახლდეს ბარათის ვადის გასვლის შემდეგაც კი. და რაც მთავარია, თანამედროვე ტექნოლოგიის დახმარებით, ბარათის გაყალბება და სხვის მიერ გამოყენება, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ბარათით სარგებლობა შესაძლებელია ყველგან, სადაც ვიზას ლოგოა გამოსახული, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ვიზა-ბარათებს აქვთ როგორც მაგნეტური საფარი, ასევე, ჩიპი, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეიძინოს საქონელი და მომსახურება მთელ მსოფლიოსა და ინტერნეტში.

„პროკრედიტ ბანკის“ ვიზა ჩიპ ელექტრონ-ბარათები უფასოა და ხელმისაწვდომია ყველასათვის. ასევე უფასოა ვიზა-ბარათებით ბანკომატიდან თანხის გამოტანა ლარებში.

და კიდევ — პირველი სექტემბრიდან ბანკმა დაიწყო ახალი დეპოზიტების კამპანია, რომელიც გაგრძელდება 31 ოქტომბრამდე. იგი დეპოზიტორებს სთავაზობს მიმზიდველ საპროცენტო განაკვეთებს და პლასტიკურ ბარათებს საჩუქრად, მათ შორის ახალ ვიზა ჩიპ ბარათებს.

როგორც „პროკრედიტ ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, იგი იმედოვნებს, რომ ვიზა ჩიპ-ბარათები პოპულარობას მოიპოვებს მოსახლეობაში, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც თავად ბანკს, ისე მომხმარებლებსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას.

**ოტია ჩართოლანი**

მრჩეველი

# „აიეტი“ საკუთარ თვითნებობას არარსებული ხელშეკრულებით ამართლებს

**როცა „აიეტის“ საკაბელო ქსელი ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე შემოვიდა, მოსახლეობისთვის იგი თავიდანვე სასურველი გახდა და დღეს უკვე უამრავი ოჯახიც სარგებლობს. თუმცა, უჩივიან კიდეც. მომხმარებლებისთვის არავის განუმარტავს, რომ მომავალში „აიეტის“ ტექნიკის დამონტაჟება და მაკონტროლებელთა ხშირი „ვიზიტები“ სახურავს დააზიანებდა. არადა, სამშენებლო ფირმები, რომლებიც სახლის გადახურვაზე მუშაობენ პასუხისმგებლობას იხსნიან და მობინადრეებს გარანტიებს ვერ აძლევენ. და, მართლაც, ზედა სართულის მცხოვრებნი მალევე ვარდებიან სავალალო მდგომარეობაში. გარემონტებიდან ერთი-ორი წლის შემდეგ სახურავი ისე ზიანდება, რომ თავზე აწვიმთ... ამიტომაც ხშირია დაპირისპირება „აიეტის“ თანამშრომლებსა და მოსახლეობას შორის. ხალხი თვითნებურად დამონტაჟებულ „გამაძლიერებლებზე“ გამოთქვამს პრეტენზიას და მათი მოხსნით იმუქრება, რადგან „აიეტი“ დაზიანებული სახურავის შესაკეთებელი თანხის გადახდაზე უარს ამბობს. ამის მიზეზად კი მერიასა და მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ასახელებენ. ისინი განმარტავენ, რომ აღნიშნული კონტრაქტი ნებისმიერი სახლის სახურავზე თავისუფალი გადაადგილებისა და ყველა სახის აპარატურის დამონტაჟების უფლებას აძლევთ, რადგან მერიის მიერ გარემონტებული სახურავის ხარჯების ოთხმოც პროცენტს მათი ფირმა იხდის.**

**ამ ხელშეკრულების წარდგენა მოსახლეობისთვის „აიეტის“ თანამშრომლებმა არ ისურვეს, რის შემდეგაც სიტუაციის გასარკვევად ჩვენს რედაქციას დაუკავშირდნენ.**

**როგორც მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გაბრიელაშვილმა განგვიმარტა: მერიას „აიეტთან“ მსგავსი ხელშეკრულება არ გაუფორმებია.**

— მრავალსართულიანი სახლის სახურავი იქ მცხოვრებთა საკუთრებაა. მერიას არანაირი წილობრივი საკუთრება არ გააჩნია. ის, რომ მოსახლეობას სახურავების გარემონტებაში ვეხმარებით, მხოლოდ კეთილი ნების გამოხატვაა. ეს კი არ გვაძლევს იმის უფლებას, მსგავსი ხელშეკრულება გავაფორმოთ.

**„აიეტსა“ და მომხმარებელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში — საკაბელო ქსელით მომსახურების შესახებ, — მითითებული არ არის სახურავის დაზიანების შემთხვევაში, რა ვალდებულებები ეკისრება ფირმას. მასში არც ის არის განმარტებული, რისი დამონტაჟების უფლება აქვთ. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში ფირმის თანამშრომლები ამ ხელშეკრულებას სათავისოდ იყენებენ, რომ თითქოს ეს კონტრაქტი, თავისთავად გულისხმობს მათ ნებისმიერ დროს გადაადგილებას და სახურავზე ყველა სახის ტექნიკის დამონტაჟებას.**

**მოქალაქეები ამბობენ, რომ ფირმას მხოლოდ ანტენის დამონტაჟების უფლება მისცეს და არა ეგრეთ წოდებული „გამაძლიერებლის“, რომელიც საჰაერო ნაგებობაზე მაგრდება, იგი ამ სიმძიმეს ვერ უძლებს და ინგრევა. თანაც ამბობენ, რომ აღნიშნულ ტექნიკას გამოსხივება აქვს და მათ ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს.**

ასეთ სიტუაციაში კი ბატონი კახა მოსახლეობას ურჩევს: — სასამართლოს მიმართონ და თავისი უფლებები დაიცვან. „აიეტს“ არ აქვს მოსახლეობის უნებართვოდ სახურავზე რაიმეს დამონტაჟების უფლება. ეს უკვე კერძო საკუთრების ხელყოფაა. მომხმარებელთა მხრიდან შესაბამისი ნებართვაც, რომ ჰქონდეთ, ისინი ვალდებულნი არიან დაზიანების შემთხვევაში სახურავის შესაკეთებელი თანხები გაიღონ.

რაც შეეხება იმას, რომ აღნიშნული დანადგარი ჯანმრთელობისთვის საშიში არის თუ არა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ფირმას ამის თაობაზე გარემოს დაცვის სამინისტროდან შესაბამისი დასკვნა უნდა ჰქონდეს აღებული.

***— მოქალაქეებს სასამართლოში წარსადგენად რა დოკუმენტაცია და რა რაოდენობის თანხა დასჭირდებათ?***

— მათ სასამართლოში უნდა წარადგინონ სასარჩელო განცხადება, რაც შეეხება თანხას მხოლოდ სახელმწიფო ბაჟია გადასახდელი, რომლის რაოდენობა სადავო თანხის მიხედვით დგინდება. თუ დასაწყისში მოქალაქეებს საჭირო თანხა არ გააჩნიათ, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მისი გადავადებაც შეიძლება.

ჩვენი რედაქცია „აიეტის“ ცენტრალურ ოფისსაც დაუკავშირდა და აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთება სთხოვა, რაზეც ცივი უარი განაცხადეს.

**ლელა მანაგლიშვილი**

⊙ 9 შვილი, 9 სიხარული...

# წიქარიშვილების ახდენილი ზღაპარი

**„მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ დედულ-მამული, ზღაპრიდან მიტომ გამოვიპარე, რომ მოგიარო და გემსახურო“... გახსოვთ, ალბათ, გენიალური შოთა ნიშნიანიძის სტრიქონები. საერთოდ, ეს ხარისთვალება და ხარისქედა პოეტი თავის შემოქმედებაში უდიდეს ადგილს უთმობდა ხარს... გასაგებია, რატომაც — ხარი ერთგულების, სიძლიერის, ამტანგამტანობის, ქართული მიწის გუთნისდედობის სიმბოლოა.**

ხართან მრავალი ქართული გვარის ფუძე-ბალავარია დაკავშირებული. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია წიქარიშვილი. ამ გვარის მეპატრონენი ცხოვრობენ იმერეთში, ქართლში, რაჭაში, რუსთავსა და თბილისში. თითო-ოროლა საზღვარგარეთაც გახიზნულა...

დავით წიქარიშვილი ხარაგაულელი ვაჟკაცი გახლავთ. ბავშვობიდანვე მისი სტიქია იყო ქართული ხალხური მუსიკა, სიმღერა-საგალობლები. მამა ადრე გარდაეცვალა და დედის კალთას მინდობილი დედისერთა ბიჭი ღვთისმოსავი და ზნეკეთილი გაიზარდა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე, თავისი ნიჭითა და ტალანტით მოხვდა, წარმატებითაც დაამთავრა და მაშინვე რუსთავში, ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდში ჩაირიცხა. რამდენიმე წელიწადი აქ დაჰყო, მერე კი შავნაბადას წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის რეგენტი — საეკლესიო გუნდის ლოტბარ-ხელმძღვანელი გახდა. 41 წლის მგალობელი მამა დავითი დღესაც შავნაბადაზე მოღვაწეობს.

ღმერთმა ისე ინება, რომ დავით წიქარიშვილი, ამ 15 წლის წინათ მასავით დედისერთა გოგოს, თბილისელ ანა ხაჩირაშვილს შეახვედრა. 16 წლის გოგონამ სიამოვნებით დაუკავშირა ბედი სულიერად ამაღლებულ და განწმენდილ 25 წლის ვაჟკაცს. წლისთავზე პირველი ვაჟი — ილია შეეძინათ, კიდევ ერთი წლის შემდეგ — იოანე. ერთხანს ცოტა შეისვენეს, ბიჭები მოაღონიერეს. იოანე 4 წლის იყო, როცა ანა და დავითი მესამე ვაჟის — ლავრენტის დაბადებით ამაღლდნენ.

— მალე მივხვდი, რომ ერთი-ორი შვილის ამარა დარჩენილს ძალიან გამიჭირდებოდა, — ამბობს ანა, — ჩვენ ხომ დედისერთები და ქრისტიანი მართლმადიდებლები ვართ. შეუღლებისთანავე დავთქვით: იმდენ შვილს ვიყოლიებთ, რამდენსაც ღმერთი მოგვცემს...

და დღეს, 31 წლის ძლიერი და ამაყი ანა ხაჩირაშვილი 9 შვილის დედაა. სამ ბიჭის სახელი უკვე მოგახსენეთ. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე შვილები ქალები დაიბადნენ. თამარი 7 წლისაა, ნინო — ექვსის, ანანო — ოთხის. მეშვიდე ისევ ბიჭი გაჩნდა — გიორგი. ის უკვე სამი წლისაა. მერვე — მარიამი — 2 წლის, ჯერჯერობით ნაბოლარა შიო კი — 6 თვის.

როგორც იტყვიან, ღვთის მადლი ფარავდეს, ქალბატონო ანა და მამაო დავით, თქვენს ქართველობას, ერისშვილობას, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს და ჭირთათმენას. მართალია, ყოველი ბავშვი ღმერთის საჩუქარია, მაგრამ რა გოლგოთური შრომა, რამდენი ღამის თევა და ნერვების წყვეტა სჭირდება ცხრა შვილის აღზრდას, მხოლოდ თქვენ და თქვენნაირმა მრავალშვილიანებმა იცით.

წლეულს, ბორჯომში, სწორუპოვარი ლიკანის სანატორიუმ-კომპლექსში, სულის მოსათქმელად, სამიოდე კვირით ჩამობრძანდნენ ანა ხაჩირაშვილი-წიქარიშვილისა და მისი საღ-სალამათი, მართლაც მერცხალივით გოგო-ბიჭები. მამა დავითი შვილებს ყოველ სამ დღეში ერთხელ აკითხავდა. არ დაუმალავს, რომ ლიკანში მისი ჯალაბის დასვენების ინიციატორი და სულისჩამდგმელი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი იყო. მიხეილი, კარგა ხანია, მეგობრობს მამა დავითთან. სხვისისა არ ვიცი, მაგრამ, მე გულწრფელად მესიამოვნა ეს ფაქტი და გულით დავლოცე კიდეც მაჭავარიანის ეს ვაჟკაცური ნაბიჯი.

— სახელმწიფო თუ გეხმარებათ? — ვკითხე 9 შვილის დედას.

— მხოლოდ იმით, რაც კანონით არის გათვალისწინებული. ეს მიზერული თანხაა, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ. მე შვილებს იმიტომ არ ვაჩენ, რომ სხვამ გამიზარდოს. დედაჩემი დომინა და დავითის დედა ანაც ვერ გვეხმარებიან იმ საპატიო მიზეზის გამო, რომ ორივენი ეკლესიის მსახურნი გახლავთ და დღედაღამ ტაძარში ლოცულობენ. მხოლოდ ღმერთი მეხმარება და მაძლევს იმის ძალას, რომ არ ჩავიმუხლო, არ შევშინდე. ყველას უნდა სჯეროდეს, რომ უფალი არც ერთ ახალშობილს არ გასწირავს...

აგვისტოში, მოგეხსენებათ, ლიკანში ზღვა ხალხი ისვენებს. ყველა ერთსულოვნად ლოცავდა წიქარიშვილების დიდ ოჯახს და მოწიწებით შეჰყურებდა ცხრა შვილის ახალგაზრდა დედას.

ბავშვები კი, თითქოს გრძნობდნენ, — ყველანი ჩვენ შემოგვცქერიანო, — წარმოუდგენლად თავაზიანნი და თავმდაბალნი იყვნენ — არავის აწუხებდნენ.

ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი. ღმერთმა გამრავლოთ, წიქარიშვილებო!

... უფროსი ძმები — ილია და იოანე, იმის გარდა, რომ დედას ეხმარებიან, ტაძარში დაჰყვებიან მამას და გუნდთან ერთად გალობენ. მალე მათ ლავრენტიც შეუერთდება. ერთ რამედ ღირს, ალბათ, წიქარიშვილების გალობის მოსმენა...

მამული გიცოცხლოთ და გადაგირჩინოთ უფალმა, წიქარიშვილებო! თქვენ ზღაპრიდან გამოპარულ წიქარას ნაშიერნი ხართ და ტანჯული ერის გამრავლების, უკვდავების ზღაპარიც რეალობად აქციეთ.

**წიქარიშვილები რუსთავში, ფალიაშვილის 6, ბინა №1-ში ცხოვრობენ. თვითონ არაფერს ითხოვენ, მაგრამ... ჩვენმა მადლიანმა და ქველმოქმედმა ბიზნესმენებმა, იქნებ, ხელი გაუმართონ ჭეშმარიტ პატრიოტებს.**

**სპარტაკ ქოზულია,**
**ლიკანი-თბილისი.**



**სურათზე:** ანა წიქარიშვილი 9 შვილთან ერთად.
**რუსუდან ქოზულიას ფოტო.**

⊙ სკოლა-სემინარი

# ჯანმრთელი ბავშვი ქვეყნის ძლიერებაა

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დარბაზში სამ დღეს მუშაობდა ევროპის პედიატრიული გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიისა და ნუტრიციოლოგიის საზოგადოებისა (ESPGHAN) და ამ უნივერსიტეტის ერთობლივი საზაფხულო სკოლა-სემინარი.**

**სკოლა-სემინარის გახსნისას მისი მოწყობის ორგანიზატორმა თსსუ პედიატრიისა და მოზრდილთა მედიცინის კათედრის გამგემ, პროფესორმა ყარამან ფაღავამ აღნიშნა, რომ პედიატრიის უმთავრესი და უკეთილშობილესი ამოცანაა უზრუნველყოს ბავშვის ჯანმრთელობა და სრულყოფილი განვითარება, რაც მისი პიროვნული თვითრეალიზაციის წინაპირობაა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება პედიატრიის, როგორც დარგის შემდგომი დიფერენციაცია და გაღრმავებაა. გასტროენტეროლოგია და ნუტრიციოლოგია პედიატრიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილია. მან სიამაყით განაცხადა, რომ ბავშვთა კვების საკითხები და ბავშვთა ასაკში საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზოგიერთი დაავადება შუა საუკუნეების ქართული მედიცინის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებშიცაა განხილული. თანამედროვე პედიატრიული გასტროენტეროლოგია, როგორც პედიატრიის ქვედარგი, დაახლოებით 50 წლის წინათ შეიქმნა. ევროპის პედიატრიული გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიისა და ნუტრიციოლოგიის საზოგადოება ამ სფეროს აღიარებული ლიდერია.**

**თბილისის სკოლა-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის ექვსი წამყვანი სპეციალისტი: ESPGHAN-ის პრეზიდენტი, პროფესორი მიხაელ ლენტცე (გერმანია), გამგეობის წევრები, პროფესორები სანია კოლაჩეკი (ხორვატია), დომინიკ ბელლი (შვეიცარია), ალბერტო რაველი (იტალია), იან ტამენიაუ (ნიდერლანდები), ლეონიდ იანკოვსკი (უკრაინა), ჰანია სტაიევსკა (პოლონეთი) თსსუ თანამშრომლები და დედაქალაქისა და რაიონების პედიატრები. მათ სამი დღის განმავლობაში განიხილეს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფიზიოლოგიის, ამ სისტემის მომნელებელი ტრაქტის დაავადებების, კვებითი ალერგიის, ღვიძლის დაავადებებისა და ბავშვთა კვების აქტუალური საკითხები, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სიახლენი, რთული კლინიკური შემთხვევები.**

**სკოლა-სემინარის მაღალ დონეზე მომზადება და წარმართვა უზრუნველყვეს თსსუ პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის, ფონდ „სიჯანსაღის“ თანამშრომლებმა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების ასოციაციის წევრებმა, სპონსორებმა.**

**გამოქვეყნდა სკოლა-სემინარის მასალები (შრომები).**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი შეხვდა ამ ღონისძიების რამდენიმე მონაწილეს და აზრის გამოთქმა სთხოვა:**

**ყარამან ფაღავა** — ბავშვთა ასაკში კუჭ-ნაწლავის დაავადებები პათოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. უნდა აღვნიშნო, რომ უპრეცედენტო შემთხვევის მოწმენი ვართ, ამ დარგის ევროპის თვალსაჩინო ამდენი წარმომადგენელი ერთად ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა. ისინი სკოლა-სემინარში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათთან ერთად ვიხილავდით პედიატრიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ვაწყობდით გაფართოებულ კონსილიუმებს.

ვიმედოვნებ, რომ ეს სკოლა-სემინარი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართველი ექიმების პროფესიული დონის ამაღლებას, ჩვენს პედიატრებს, თსსუ-სა და ევროპის ასოციაციას შორის სამეცნიერო ურთიერთობისა და პროფესიული კონტაქტების განვითარება-გაღრმავებას.

**მიხაელ ლენტცე** — თავად სკოლა-სემინარის თემა: „პედიატრიული გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია და ნუტრიციოლოგია“ მიგვანიშნებს მის უდიდეს მნიშვნელობაზე. მოხარული ვარ, რომ ასეთი სკოლა-სემინარი საქართველოშიც გაიმართა. პირველად ვარ თქვენს ქვეყანაში და მეამაყება მასში მონაწილეობა. იმედი მაქვს, რომ ქართველი პედიატრებისთვის ეს შეხვედრა მრავალმხრივ საინტერესო და შედეგიანი იქნება, მით უფრო, რომ მათ ჩინებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოავლინეს.

თბილისის სკოლა-სემინარი საუცხოოდ ორგანიზებული გახლდათ, და ეს, უწინარესად, ბატონ ყარამან ფაღავას და სპონსორი ორგანიზაციების დამსახურებაა. ქართველი სპეციალისტები ალბათ ჩვენი ასოციაციის საქმიანობითაც დაინტერესდებიან და შემოგვიერთდებიან.

**სანია კოლაჩეკი** — მე ევროპის ასოციაციის წარმომადგენელი ვარ და საზოგადოებისათვის ამ ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობა მევალება. ეს შეხვედრაც მე უნდა მომეწყო, მაგრამ პროფესორ ფაღავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მარტო სკოლა-სემინარის ორგანიზაციული მხარე კი არ უზრუნველყო, სამუშაო პროგრამაც მანვე შეადგინა.

ერთი რამ არის საყურადღებო: სკოლა-სემინარის მუშაობაში ექიმები უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ. ჩვენ ლექციებს კი არ ვატარებდით, ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებდით. ეს დღეები მეტად საინტერესო იყო ჩვენთვისაც, კოლეგიალური მსჯელობების გარდა იდეებიც გავცვალეთ...

**ლეონიდ იანკოვსკი** — ორი წლის წინათ ევროპის ასოციაციის მონაწილეობით კიევში ჩვენც ჩავატარეთ მსგავსი სკოლა-სემინარი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ასეთი სკოლის უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს არის ჩვენს დარგში ევროპული მეცნიერების უახლესი მიღწევების ერთგვარი პრეზენტაცია.

ჩემთვის ნაცნობი და გასაგებია ყველა პრობლემა, რაც დღეს საქართველოშია. თქვენი ქვეყანა ჯერ მხოლოდ ვითარდება და ჩვენც ახლა ხომ იმავე გზას გავდივართ. ასეთი კონტაქტები კი საშუალებას გვაძლევს, რომ აქტიურად ვითანამშრომლოთ, გავეცნოთ სიახლეებს. ჩემი აზრით, ჩვენთვის მეტად ძნელია იმ დონის სწრაფად მიღწევა, რა დონეზეც ახლა ევროპის ქვეყნები არიან.

**ბელა დურგლიშვილი**



**სურათზე:** სკოლა-სემინარის მონაწილენი.
**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

⊙ ინფორმაცია

## ვინ „აწვება“ ხელისუფლებას?

**აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი და ამჟამად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ საჯაია პარლამენტარ მერაბ სამადაშვილს დაბა წყნეთში მიწის ნაკვეთის უკანონო მიტაცებაში და ხელისუფლების ყველა შტოებზე ზეწოლაში ადანაშაულებს.**

**დეპუტატმა ჯემალ საჯაიამ საპროტესტო აქცია გუშინ პრეზიდენტის კანცელარიის წინ გამართა. საჯაია პრეზიდენტთან შეხვედრას მოითხოვს. მისი განცხადებით, დეპუტატი სამადაშვილი დაბა წყნეთში მიწის იმ ნაკვეთს ედავება, რომელიც „არაერთი კურიოზული კანონდარღვევით შეიძინა“. იგი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შევარდნაძის თანაგუნდელი სამადაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის დროსაც ახერხებს ხელისუფლების ორგანოებზე ზეწოლას და მისთვის დროებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დაკანონებას და აფხაზეთიდან დევნილის შევიწროებას.**

## გიორგაძის მომხრეთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს

**იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პარტია „სამართლიანობა“ 2 ოქტომბრისათვის დანიშნულ შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრის რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევაში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციების დაწყებას გეგმავს. პარტიის პოლიტიკური მდივნის რევაზ ბულიას განცხადებით, იმ ვითარებაში, როცა დღევანდელი ხელისუფლება პრეზიდენტ შევარდნაძის ტრადიციას აგრძელებს და იგორ გიორგაძის დევნას განაგრძობს, პარტია „სამართლიანობა“ „პოზიციების დათმობას არ აპირებს“. მისივე შეფასებით, ხელისუფლება იგორ გიორგაძეს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იმის გამო არ აძლევს, რომ იგი მას „რეალურ კონკურენტად“ განიხილავს, რომლის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის შემთხვევაში, გიორგაძე საზოგადოების ლიდერად იქცევა.**

**„საქართველოს საზოგადოება ლიდერის ძიებაშია, ხალხის უმრავლესობამ იცის, რომ გიორგაძე მათი ლიდერია,“ — აღნიშნავს რევაზ ბულია, რომლის თქმით, პარტია „სამართლიანობა“ გიორგაძის რეგისტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევაში სამოქალაქო დაუმორჩილებლობას სექტემბრის ბოლოსათვის დაიწყებს და იმედოვნებს, რომ მათ აქციებს ის საზოგადოება შეუერთდება, რომლისთვისაც მიუღებელია პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გუნდის ანტიქართული პოლიტიკა.**

**27 აგვისტოს, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ არ დააკმაყოფილა გიორგაძის მომხრეების მოთხოვნა და საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრს იგორ გიორგაძეს 2 სექტემბრისათვის დაგეგმილ პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არყოფნის გამო, არ მისცა.**

## ნარკომანი „მაკაროვით“ და 12 მობილურით!..

**სამართალდამცველებმა გამსახურდიას გამზირზე მდებარე ერთ-ერთ ლომბარდში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, ამავე სამსახურის თანამშრომელი, 35 წლის ქალბატონი დააკავეს.**

**როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, ესაა ლომბარდის თანამშრომელი, მოლარე ეკატერინე ფხოველიშვილი. პოლიციის ინფორმაციით, მას ნახევარი აბი „სუბუტექსი“ აღმოაჩნდა, ხოლო მისი სეიფის ჩხრეკის დროს ამოიღეს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, 5 ვაზნით და 12 ცალი მობილური ტელეფონი. ამ დროისთვის იარაღისა და მობილური ტელეფონების მფლობელთა ვინაობა დგინდება.**

**ინტერპრესნიუსი**

⊙ მამული ჩვენი

# თუშეთი — უსასრულო, სპეტაკი, ძლიერი...

**თუშეთიდან ჩამოვედი. „სით ვიყავ, რაგვერ ვიყავი, ე მანდ, უსტარში გეტყვითა:“**

**გომეწრის ხეობაში გახლდით, სადაც მთები ფშავის მთებზე უფრო მაღალია და მოსახლეობა-ხევსურეთის მოსახლეობაზე უფრო მრავალი. ეს ყველაფერი განაპირობებს იმას, რომ ადათ-წესები შედარებით კარგადაა შემონახული, კარგად შემონახულს კარგი დამთვალიერებელ-მნახველი უნდაო და მეც შემოვახტი ცხენს... შემოვახტი და ქედი ცას მივაბჯინე... ჩავიხედე ქვეშ და აწვერილი მთების შუაში მატყლივით ჩაფენილი ნისლი დავინახე... მერე თუშმა გოგომ შემომხედა და თავისი მზერით უსასრულო სივრცეში გამტყორცნა...**

ჩემ თუშ მეგობართან ჩავედი ქვემო ალვანში, რომელიც შესანიშნავადაა დაპროექტებული თავისი ლარივით გაჭიმული და მართი კუთხეებით გადაბმული ქუჩებით. ქვემო ალვანიდან მეორე დღეს თუშეთისკენ ავიღეთ გეზი სამხიდიანი "კამაზით", რომლის საბარგულზეც 25-მდე მგზავრი ვისხედით, ოღონდ, როგორც მძღოლმა თქვა, 20 ტონა(!) სამშენებლო მასალისა და პროდუქტების ზემოდან... ის იყო, ალვანს გავცდით, რომ ჩემმა მეგობარმა მითხრა, აბა, იმ მთას შეხედეო (გზისკენ ზურგით ვიჯექი), შევხედე და გავოცდი, ეს ის ლეგენდარული უღელტეხილი — "ცერი" იყო, რომლის იქითაც თუშეთის ჰაერი ქროდა. დიდ ნისლში უზარმაზარი მთის კონტურები გაურკვევლად ჩანდა. ვაა, რამხელაა-მეთქი და... ჩემმა მეგობარმა გაიცინა, რასაც ხედავ, ეგ "ცერის" ძირიაო... და მაშინ ვითხოვე პირველი ჭიქა არაყი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, კარგად შევთვერით, თან ორი ძალიან ლამაზი თბილისელი სტუმარი გოგოც მგზავრობდა ჩვენთან ერთად და, რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეგეთი უიშვიათესი სანახაობა დედამიწის ზურგზე, როგორიც ლამაზი გოგოა, ძალიან უწყობს ხელს მალე დათრობას... როდესაც სასიამოვნო "ტემპერატურას" მივაღწიე, "სუფრას" გამოვეთიშე, შუა საბარგულში მყუდროდ მოვთავსდი და ერთ-ერთ გოგოს ბიოლოგიაზე ვესაუბრებოდი (ცხოვრებაში პირველად ვსაუბრობდი ბიოლოგიაზე), რეზომ, ჩემმა მეგობარმა, აბა ახლა ძირს გადაიხედეო... წამოვიწიე, გადავიხედე და... მაშინ მივუჯექი სუფრას მეორედ... ალბათ ცხოვრებაში ყველაზე თავმდაბალი გრძნობით მაშინ დავლიე ღმერთის სადიდებელი, ალბათ მაშინ მქონდა ყველაზე ჭეშმარიტი ცხოვრებისეული ფასეულობების შეგრძნება...

100 კილომეტრისა და 10-საათიანი მგზავრობისას გავიარეთ შემდეგი სოფლები: ლალისყური, ფშაველი, ლეჩური, ჭალა, ხისო, ომალო, ზემო ომალო, მირგველა, ბოჭორნა, დოჭუ, ბეღელა, ჯვარბოსელი, ალისგორი, ვერხოვანი და ყველაზე ბოლო და ლამაზ სოფელს, კოკლათას მივადექით, რომელიც მთის თავზეა შეფენილი. ისევე, როგორც ყველა სოფელში, აქაც სახლის კედლებიც და სახურავიც სიპი ქვებით, ყოველგვარი დუღაბის გარეშეა აშენებული. დადგენილი წესით, კოკლათა ერთადერთი სოფელია, სადაც მხოლოდ ერთი გვარის ბიძაშვილები — ბაშინურიძეები ცხოვრობენ, რადგან სიძისთვის იკრძალება იმ ადგილას სახლის აშენება, თავის დროზე გადამხდარი მზაკვრული ისტორიის მქონე ძველი თქმულების გამო, რომლის მიხედვითაც, მოსულმა სიძემ სოფლის უხუცეს მკვიდრს მოკვლა დაუპირა... არ ღირს ყველაფრის დაწვრილებით აღწერა, „თავს რომ ვხდი“, თითქოს, მოგონების გარკვეული ნაწილი „მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს“...



7 აგვისტოს კოკლათის სალოცავის, მთავარანგელოზის დღეობა იყო. სოფლის ციხე-კოშკიდან დროშა და ზარი გამოიტანეს, შემდეგ კი ლუდით და არყით დავილოცეთ.

კოკლათის მთავარანგელოზის დღეობამდე, მე, ჩემი მეგობარი რეზო და რეზოს ბიძაშვილი ჯარჯი წოვათაში წავედით ცხენებით, ჯარჯის შეთქმული ხარი უნდა წამოგვეყვანა კოკლათაში. წოვათა რამდენიმე კილომეტრშია კოკლათიდან, თუმცა, ის "რამდენიმე" კილომეტრი უვიწროესი ბილიკია, რომლის ქვემოთ ხრამში წვრილად მოჩანს ალაზანი, ზემოდან კი, მთის ზედა ნახევარი დაგყურებს. როგორც კი ამ ბილიკს შევუდექით, დაახლოებით ისეთი ტონით, როგორითაც თბილისის რომელიმე კაფეში მყუდროდ მჯდომი ეტყვი ვინმეს — "ჩაიში შაქარს ნუ ჩაყრი, ისე ჯობია", ჩემმა მეგობარმა მითხრა: "უზანგებში ფეხს ნუ გაყოფ, ცხენს ფეხი თუ ჩაუვარდა უნდა გადმოხტე..." როდესაც ასეთი შემთხვევებით დაღუპული ადამიანების მოსახსენებლად დადგმულ ნიშასაც ჩაუვლი გვერდზე, სიკვდილი უკვე ძალიან ახლოსაა, თითქოს აგედევნა და ცხენით მოგყვება...

გზად გავიარეთ ლეგენდარული სოფელი, ომში 400-მდე მეომრის გამომყვანი — "წარო", რომელსაც გადმოცემით ერთი მთლიანი სახურავი ჰქონდა მტრისგან დასაჯავშნად და საერთოდ უჩინარი იყო. თუშეთის ამ უძლიერეს სოფელში ერთ ზამთარს ეპიდემია გაჩენილა. სახადი რომ არ გავრცელებულიყო, მთელი სოფელი ჩაკეტილა და თვითონვე ამოხოცილან ერთიანად...

გადავედით წოვათაში, ბილიკზე ზედმეტი დაძაბულობისგან ფსიქოლოგიურად დავიღალე. მოკლედ, ხარი ვერ ვიპოვეთ და მის პოვნას მწყემსები შემდეგი დღისთვის შეგვპირდნენ, მაგრამ ჩემ ბედზე მთელი წოვათა მოვიარეთ მის ძებნაში. წოვათა არის ალაზანს გაყოლებული გრძელი და ვაკე ადგილი, რომელიც უზარმაზარი მთების შუაშია დავანებული.

შებინდდა. უკან იგივე გზა გველოდა... და მაშინ მივხვდი როგორი იყო ის უცნაური და უბადლო სიმამაცე, რომლის მეშვეობითაც თუშებმა სხვადასხვა დროის უძლიერესი და უამრავი მტერი მოიგერიეს.. იმაზე აღარ იყო ლაპარაკი, რომ შინ დაბრუნება გვეჩქარა დაღამებამდე. იქვე, ცხვრის ბინაში შევიარეთ ჯარჯის მეგობარ მეცხვარესთან, დავლიეთ შვიდიოდე ჭიქა არაყი და გავსინჯეთ გორდილა — მეცხვარეების პური, იგივე მოხარშული ცომი, წავუქეიფეთ... აი, იმ ქეიფის მერე იყო, რომ ზემოთ ნახსენებ "საშიშ" ბილიკზე შუაღამისას ცხენებს მივაჭენებდით ჩვენი სოფლისკენ... აქეთ გავიხედე, იქით გავიხედე და... ის ოხერი სიკვდილი სადღაც გაპარულიყო, აღარსად ჩანდა... ცხოვრებაში ყველაზე ნაკლებად მაშინ ვიყავი სიკვდილის შიშზე დამოკიდებული... თურმე, სიკვდილმა თუ ვერ შეგაშინა, მერე გიმეგობრდება. ეს სიმამაცე და გამბედაობა სულში გისახლდება და ამაშია მისი უბადლო სიძლიერე: თუ სუფთა გულით იტყვი ღმერთის სადიდებელს, სიტყვაში ჩადებ ძალას და ღმერთისადმი მინდობას, შენ ზეადამიანური შესაძლებლობების გახდები... ყველაზე ტკბილი სათქმელის დროც სწორედ ახლაა: თუშეთიდან გამომყვა ულამაზესი თუში გოგოს უკეთილშობილესი და კეთილგონიერი მზერა, როდესაც კოცონთან მარტო მდგომს ცხენით ჩამიქროლა და ფიჩხებს ლაწალუწი დააწყებინა... ეს გრძნობა რუსთაველისეულ რანგშია, სპეტაკია და ზარივით ძლიერი, უსასრულო სივრცის მომცველი...

მე თუშეთიდან ამაღლებული, სიკვდილის შიშდაძლეული ჩამოვედი!

**კოტე იანტბელიძე,**
**თუშეთი-თბილისი.**
**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.**
**ავტორის ფოტო.**



⊙ რეფორმა

# განათლების განყოფილებები გაუქმდა

რაიონული და რეგიონული განათლების განყოფილებები, როგორც უფუნქციო მმართველობითი ორგანოები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააუქმა. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნა სკოლებისადმი ასეთია: სასწავლებლებმა თავიანთი პრობლემები თავად სამეურნეო საბჭოებისა და დირექციის საშუალებით უნდა გადაჭრან.

გაუქმებულ რაიონული და რეგიონული განყოფილებების ნაცვლად ახალი საგანმანათლებლო ცენტრები ჩამოყალიბდება, რომლებიც სკოლასა და სამინისტროს შორის ინფორმაციის კოორდინირებას უზრუნველყოფენ. საგანმანათლებლო ცენტრი სკოლის საქმიანობაში ვერ ჩაერევა.

ყოველ 25 სკოლაზე ერთი ცენტრი იქნება გაპიროვნებული. თანამშრომლებით მისი დაკომპლექტება კონკურსის სახით მოხდება. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ნებისმიერ ადამიანს ეძლევა.

დაკომპლექტების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინფორმაციის კოორდინირების ცენტრების თანამშრომლებისათვის მათი უფლება-მოვალეობისა და მუშაობის წესების გასაცნობად წვრთნებს ჩაატარებს.

**ნათელა ფაილოძე**

# ვის რა ინტერესები აქვს

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოში პროფესიონალი პროპაგანდისტების ჯგუფებს, ე.წ. „სწრაფი რეაგირების გუნდებს“ გააგზავნის. მათი მოვალეობა იქნება ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა ყოველთვის დადებითად წარმოაჩინონ და თეთრი სახლისთვის უსიამოვნო ახალი ამბების ნეიტრალიზება მოახდინონ. როგორც ვარაუდობენ, ასეთი ჯგუფები უპირველესად ახლო აღმოსავლეთსა და მუსულმანურ ქვეყნებში გამოჩნდებიან.**





როგორც ჩანს, ისლამურმა ტერორიზმმა ამერიკული დიპლომატია შესაბამისად გაააქტიურა. 2001 წლის დასაწყისში თეთრ სახლში მოსვლისას ჯორჯ ბუში მკვეთრ განცხადებებს აკეთებდა „სტრატეგიული კონკურენტის“ წინააღმდეგ, რომელიც მან მზარდ ჩინურ ზესახელმწიფოში დაინახა, მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ ისლამურმა ტერორიზმმა ჩინური საფრთხე პირველიდან მეორე ადგილზე გადაანაცვლა.

ურთიერთობები პეკინსა და ვაშინგტონს შორის შესამჩნევად დათბა. მოგეხსენებათ, ჩინეთმა ერაყის ომთან დაკავშირებით სიჩუმე ამჯობინა, თანაც ბუშმა „ტერორიზმთან ბრძოლის“ არენაზე ჩინელთა სამსახური დააფასა. მაგრამ ეს იდილია ჩანს, დიდხანს არ გაგრძელდება. ამერიკას ჩინეთის არმიის ელვისებური მოდერნიზაცია არ მოსწონს. პეკინი კი ამერიკის ანტიჩინურ სტრატეგიაზეა შეფიქრიანებული. მოკლედ, სახეზეა ორმხრივი უნდობლობა.

რაც შეეხება ევროპელებს, უნდობლობის ჭია მათაც შეუჩნდათ. მათ სულაც არ სურთ აშშ-ს და რუსეთის ზესახელმწიფოების იმიჯი მუდმივად ჰქონდეთ. მაგალითად, ევროპელებს არ უნდათ, რომ ხელოვნური თანამგზავრების თვალთვალის საქმეში მთლიანად ამერიკელებსა და რუსებზე იყვნენ დამოკიდებულნი. დედამიწასთან ახლომდებარე კოსმოსური სივრცის გაკონტროლება მსოფლიოში აქამდე მხოლოდ ორ ქვეყანას შეეძლო. ესენია აშშ და რუსეთი, რომელსაც კოსმოსური თვალთვალის სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მემკვიდრეობით დარჩა. როგორც ევროპის კოსმოსური სააგენტოები იუწყებიან, 2015 წლისთვის ევროპის კონტინენტების სახელმწიფოებსაც ექნებათ საშუალება კოსმოსური სივრცეები გააკონტროლონ. საამისოდ გიგანტური მოწყობილობები, სავარაუდოდ, სამხრეთში, ესპანეთში განთავსდება.

ზესახელმწიფოს იმიჯს რუსეთი კი კარგად ირგებს, თუმცაღა მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი და სხვა ევროპული სტრუქტურები მის „სივრცეში“ საკუთარი წესების შემოღებას ცდილობენ. საკუთარ სივრცედ კი რუსეთი დსთ-ს ქვეყნებს აღიქვამს. როგორც ამბობენ, შესაძლოა, რუსეთმა განზე გამხედვარე დსთ-ს ქვეყნებს შეღავათიან ფასებში ენერგომატარებლების მიწოდება შეუწყვიტოს. რაც შეეხება რუსეთის მიერ საქართველოსთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის გაზრდის მცდელობას, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, თუკი ამ საკითხზე ქართული მხარე სერიოზულად იმუშავებს, შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ გაზის საფასური არ გაიზარდოს. მათი აზრით, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ეს საკითხი მოგვარებადია, ამის საფუძვლად კი ყაზანის სამიტზე ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრას მიიჩნევენ, ამ შეხვედრის ახალ, კარგ ფონზე საუბრობენ. აღნიშნავენ, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის გამო მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრისთვის, წინა წლებთან შედარებით უკეთესი ფონია შექმნილი. ფონი ფონად, მაგრამ რუსეთმა ისეთი ხმაური ატეხა, არიქა ქოჩარიანი და სააკაშვილი ერთმანეთს ხშირ-ხშირად ხვდებიანო, ცხადი გახდა, მოსკოვს ეშინია სააკაშვილმა ქოჩარიანის გადაბირება არ მოახერხოს. სომხეთის დაკარგვით ხომ რუსეთი გავლენას უკვე მთელ კავკასიაში კარგავს. ამერიკა, ალბათ, აზერბაიჯანის პარალელურად სომხეთშიც შეეცდება რევოლუციის მოწყობას. რაც შეეხება ქოჩარიანს, ჯერჯერობით იგი პუტინისკენაა და ამდენად, ძნელი სათქმელია, გახდება თუ არა ბუშის რეალური პარტნიორი. თუმცა, ამერიკას ქოჩარიანი არც აინტერესებს. მას ქოჩარიანი კი არა, სომხეთი სჭირდება და სჭირდება იმდენად, რამდენადაც ეს ქვეყანა ირანის მოსაზღვრე ტერიტორიაა.

**მზია გელენავა**

# ახალი ორლეანი დახმარებას ითხოვს

**ამერიკის სენატმა თავის რიგგარეშე სხდომაზე გამოყო 10,5 მილიარდი დოლარის ოდენობის დამატებითი სახსრები ქარიშხალ „კატრინას“ შედეგების სალიკვიდაციოდ.**



სახსრების გამოყოფის შესახებ სენატს თხოვნით მიმართა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებული სარეზერვო ფონდები შეიძლება დაიხარჯოს პარლამენტის არდადეგების დასრულებამდე.

როგორც მოელიან, შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატა უახლოესი მომავლისთვის მოიწონებს წინადადებას სახსრების გამოყოფის შესახებ.

პარასკევს ჯორჯ ბუში გაემგზავრა სტიქიური უბედურების რაიონში, რათა გაეცნოს ნგრევის მასშტაბს.

ქარიშხალმა სერიოზული ზარალი მიაყენა მექსიკის ყურეში ნავთობ-გაზის მომპოვებელი საწარმოების მუშაობას. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ნავთობის ფასები შეიძლება, კიდევ უფრო გაიზარდოს.

ნიუ-ორლეანის მერის რეი ნაჯინის თქმით, ქალაქიდან სასწრაფოდ უნდა გაიყვანონ კიდევ 50-100 ათასი კაცი, რომელთა შორის არიან ცხრა ადგილობრივი საავადმყოფოს პაციენტები და 7 ათასზე მეტი პატიმარი.

ქალაქში დარჩენილი ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად დატოვონ ნიუ-ორლეანი, რადგან ქალაქს არ მიეწოდება ელექტროენერგია. ნიუ-ორლეანელები, რომლებმაც დაკარგეს მთელი თავიანთი ქონება, ახლა დარჩენილი არიან საკვებისა და სასმელი წყლის გარეშე.

# ბესლანი: დაღუპულთა ახლობლები და ნათესავები არ ტოვებენ სპორტდარბაზს და სასაფლაოს

**ბესლანში მეორე დღეა გლოვობენ გასულ წელს ქალაქის № 1 სკოლაში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაღუპულებს. დაღუპულთა ნათესავებმა მთელი ღამე გაატარეს სკოლის სპორტდარბაზსა და სასაფლაოზე, სადაც დაკრძალეს მძევლების აყვანის შედეგად დაღუპული ადამიანები.**



როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ ოსეთის ამ ქალაქის სკოლის გათავისუფლების ოპერაციის დროს დაიღუპა 331 კაცი.

როგორც ტერაქტის მსხვერპლთა ნათესავები და ახლობლები აცხადებენ, ისინი აპირებენ სპორტდარბაზსა და სასაფლაოზე დარჩნენ სამი დღის განმავლობაში — 3 სექტემბრის 13 საათსა და 05 წუთამდე. სწორედ იმ მომენტში გაისმა შარშან პირველი აფეთქება სკოლის შენობაში, რის შემდეგაც დაიწყო სტიქიური შტურმი.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აპირებს მოსკოვში შეხვდეს „ბესლანის დედების“ კომიტეტის წარმომადგენლებს, რომელიც აერთიანებს ტერაქტის დროს დაღუპული ბავშვების მშობლებს. თუმცა, ამ შეხვედრის გამართვის თაობაზე კომიტეტის წევრთა მოსაზრება სხვადასხვაგვარია.

სუსანა დუდიევამ, კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი აპირებს პრეზიდენტის წინაშე წამოჭრას ტერაქტში დამნაშავე პირთა საკითხი, აგრეთვე, გამოთქვას „ბესლანის დედების“ კომიტეტის წევრთა პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ მათ დასახმარებლად ბევრი არაფერი გაკეთებულა.

„ჩვენ უარს ვაცხადებთ პუტინთან შეხვედრაზე, რადგან, ამ ადამიანმა ტრაგედიის დღეებში არ ისურვა ტერორისტებთან მოლაპარაკება და საჭიროდ არ მიიჩნია ჩვენი ბავშვების გადარჩენა. პუტინთან ჩვენ სამართალს ვერ ვიპოვით“, — აღნიშნა, თავის მხრივ, კომიტეტის წევრმა ზალინა გუბუროვამ.

**განცხადება**

ს/ს „მარნეულნავთობპროდუქტის“ სამეთვალყურეო საბჭო განმეორებით იწვევს აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც შედგება ამა წლის 12 სექტემბერს დღის 11 საათზე ქ. მარნეულში იაღლუჯის № 5-ში, შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2005 წლის 25 ივლისს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა.
2. სააქციო საზოგადოების ლიკვიდაცია.

**განცხადება (განმეორებით)**

დამფუძნებლის გადაწყვეტილებით შპს „კვინტა“ ცხადდება ლიკვიდირებულად.

პოტენციურ კრედიტორებს, რომლებსაც გექნებათ პრეტენზიები საზოგადოების მიმართ, გთხოვთ, გვაცნობოთ მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. № 12, ტელეფონი 77-44-79.

**სიტუაცია**

# „იაშკას“ ხვედრი

**გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა გაიოზ დარსაძემ უკრაინელებთან შეხვედრის წინ უკანასკნელი პრესკონფერენცია გამართა, სადაც, ბუნებრივია, შეკრებიდან ალექსანდრე იაშვილის წასვლის ფაქტსაც შეეხო. მან მკვეთრი განცხადებებისგან დელიკატურად შეიკავა თავი და არ გამორიცხა „იაშკას“ უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ მოწვევა. თავკაცს მხარი „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა კახი კალაძემაც აუბა — რასაკვირველია, აკუნა ბევრ სარგებლობას მოგვიტანდა შაბათის მატჩში, თუმცა იმედს არ ვკარგავთ, იგი დანიაში დაგვიბრუნდება — ეს „მილანის“ მცველის საგულისხმო სიტყვები გახლავთ.**



ალბათ, დაგაინტერესებთ, რამ გადაადგმევინა „ფრაიბურგის“ კაპიტანს ასეთი ნაბიჯი. მიზეზი ბანალურია — მწვრთნელმა მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია ვერ მისცა, მეტიც, შესაძლოა, განაცხადში საერთოდ ვერ მოხვდეო, — ესეც დააყოლა და მისი ასეთი პოზიციის შემდეგ ლეგიონერმა გაცლა ამჯობინა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ბუნდესლიგაში მობურთალ ჩვენს თანამემამულეს მაინცდამაინც არც დარსაძის წინამორბედები სწყალობდნენ, იაშვილის საქციელს რაღაც გამართლება შეიძლება მოუძებნოს კაცმა, თუმცა არც იმ გარემოებაზე ღირს თვალის დახუჭვა, რომ ნაკრების ახალი დამრიგებლის რჩეულთა შორის ამჯერადაც ვერ მოხვდნენ შოთა არველაძე და ლაშა ჯაკობია. ასე რომ, საინტერესოა, რას მოგვიტანს მხოლოდ ორ თავდამსხმელზე — დემეტრაძესა და ახალგამოჯანმრთელებულ აშვეთიაზე დაყრდნობა.



**საკუთარი ინფორმაცია**

**ფეხბურთი**

# ფინიშის სუნთქვა

**2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ევროპული ჯგუფის შესარჩევი ტურნირი ფინიშს მიუახლოვდა. სათამაშო დარჩა სულ 12 მატჩი. უკვე გამოვლინდა ის სამი ნაკრები, რომლებმაც, ფაქტობრივად, ფინალში გასვლის შანსი დაკარგა (თუ შესაძლებლობად ითვლება ყველა დარჩენილი მატჩის მოგება), თუმცა, საერთო სატურნირო ბედ-იღბალზე მათაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა.**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 9 | 7 | 2 | 0 | 15-3 | 23 |
| 2. თურქეთი | 9 | 4 | 4 | 1 | 19-7 | 16 |
| 3. საბერძნეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 15 |
| 4. დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 13-8 | 12 |
| 5. ალბანეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 7-16 | 9 |
| 6. საქართველო | 8 | 2 | 2 | 4 | 12-17 | 8 |
| 7. ყაზახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 3-23 | 0 |

როგორც ვხედავთ, ისეთი სიტუაციაა, რომ თითოეულ ქულას ოქროს ფასი ედება. უკრაინის ნაკრები წაუგებლად ლიდერობს ქულათა დიდი მარაგით, მაგრამ თბილისში მარცხის შემთხვევაში მასაც გაუჩნდება პრობლემები, ფრე აძლევს ხელს, თუ მოიგო, მაშინ პირდაპირ გადის ფინალში. თამაშის საერთო კლასით ეს ნაკრები, ალბათ, არც თურქებს აღემატება, არც ბერძნებსა და დანიელებს, მაგრამ არის ერთი განსხვავება — მას ჰყავს ისეთი თავდამსხმელი, რომელსაც შეუძლია, მატჩი მარტოდმარტომ მოიგოს. დანარჩენ გუნდებში შევჩენკოს მსგავსი გამოკვეთილი ლიდერი არა ჩანს. ამიტომაც მომდევნო სამი ნაკრები უფრო მეორე ადგილისთვის იბრძვის, მათ ქულების დაკარგვის უფლება აღარც აქვთ.



დიდი მნიშვნელობა ენიჭება 3 სექტემბრის მატჩს სტამბოლში თურქეთისა და დანიის ნაკრებებს შორის. მასპინძელთა მდგომარეობა დღეისათვის ოდნავ უკეთესია, დანიელების მარცხი კი, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი შანსის დაკარგვისა და მორტენ ოლსენის გადაგომის ტოლფასი იქნება.

თურქებისთვის ძალიან პრინციპული იქნება 7 სექტემბრის შეხვედრა კიევში. მათს ნაკრებს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომლისთვისაც ყოველი ახალი შეხვედრა შეიძლება უკანასკნელიც გამოდგეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება ბერძნების განთქმულ გერმანელ მწვრთნელს, „მეფე“ ოტო რეჰაგელს. მის მიერ ევროპის უკნასკნელ ჩემპიონატში გამარჯვება თავისთავად ნიშნავს, რომ „მეფეს“ უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს. მით უმეტეს, რომ ნაკრებში დაიწყო თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი. რაც კარგი იყო შარშანდელი ევროპის ჩემპიონატისთვის, ახლა მსოფლიო პირველობისთვის შეიძლება, არასაკმარისი აღმოჩნდეს.

რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებს დარჩენილ მატჩებში შეუძლია, სატურნირო ცხრილში ოდნავ წინ წაიწიოს, ოღონდ ამას ახლა პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, შემდგომი შეჯიბრებებისთვის ბრძოლისუნარიანი კოლექტივის ჩამოყალიბება. ნაკრების მოთამაშეთა ნაწილმა კრიტიკულ ასაკს მიაღწია. ამასთან, რეიტინგის გაუმჯობესებაზეც უნდა ვიზრუნოთ.

***ახლა კი გთავაზობთ დარჩენილი მატჩების კალენდარს:***

**3 სექტემბერი. ალბანეთი — ყაზახეთი, თურქეთი — დანია, საქართველო — უკრაინა.**

**7 სექტემბერი. ყაზახეთი — საბერძნეთი, დანია — საქართველო, უკრაინა — თურქეთი.**

**8 ოქტომბერი. საქართველო — ყაზახეთი, დანია — საბერძნეთი, უკრაინა — ალბანეთი.**

**12 ოქტომბერი. ყაზახეთი — დანია, საბერძნეთი — საქართველო, ალბანეთი — თურქეთი.**

**გივი გამრეკელი**

**ჭადრაკი**

# ქართველები თურქულ კვარცხლბეკს გაუშინაურდნენ

**სტამბოლში დამთავრდა დიდი საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც საქართველოს 32 წარმომადგენელიც მონაწილეობდა, მათ შორის 10 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძოდა. საქმე ის არის, რომ ძირითადი ტურნირის პარალელურად უნივერსიადაც გაიმართა და ჩვენს 10 მოჭადრაკე ქალვაჟს ყოველდღიურად ორ-ორი პარტიის თამაში უწევდა.**



შესანიშნავად იასპარეზა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და ლიტერატურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა სოფიო გვეტაძემ, რომელმაც წაუფორხილებლად განვლო მთელი უნივერსიადა. ბოლო ტურში მალხაზ სულაშვილს დაუზავდა, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობასთან ერთად 800 დოლარიც ხვდა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დიდოსტატმა თამაზ გელაშვილმა და საერთაშორისო ოსტატმა მალხაზ სულაშვილმა გაინაწილეს.

სამივე მოჭადრაკე მთავარ ტურნირშიც მონაწილეობდა. გვეტაძემ აქაც იყოჩაღა — 6 ქულა მოაგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-5 ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი მაია ლომინეიშვილს ერგო. პირველი-მეორე ადგილები კი 6,5-6,5 ქულით რუმინელმა ანა-ქრისტინა კალოტესკუმ და ქუთაისელმა სოფიო ტყეშელაშვილმა გაიყვეს.

ვერც ვაჟებში გამოვლინდა ერთპიროვნული გამარჯვებული. პირველი რვა ადგილი აქაც კოეფიციენტმა გაანაწილა. ყველას რუსმა ალექსანდრ კარპატჩევმა აჯობა. მეორე იყო აზერბაიჯანელი ვუგარ გაშიმოვი, მესამეზე კონსტანტინე შანავა გავიდა. მეოთხე — მეექვსე ადგილებიც საქართველოს წარმომადგენლებს — მიხეილ კეკელიძეს, ლევან ფანცულაიას და დავით არუთინიანს ხვდათ. საგულისხმოა ისიც, რომ ყველა 7,5-ქულიანს (ასეთი რვა მოჭადრაკე იყო) 2288-2288 დოლარი ერგო.

ჯვაროსანთა ლაშქრობა თურქეთში ამით არ დამთავრებულა. ქართულმა დესანტმა გეზი იზმირისკენ აიღო.

**ლექსო ცინცაძე**

**ჩოგბურთი**

# „ჰეთ-თრიკი“ — სტამბოლში



**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტები 12 სექტემბრიდან ჩოგბურთელ ქალთა ორ საერთაშორისო ტურნირს (10 და 25-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით) უმასპინძლებს. საუკეთესო სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს ნიჭიერი ახალგაზრდა სპოტსმენი მანანა შაფაქიძე, რომლისთვისაც წლევანდელი სეზონი იღბლიანი გამოდგა.**

პირველ საგაზაფხულო შეჯიბრებაში მანანამ მეორე ადგილი დაიკავა თანატოლთა შორის, თუმცა, მალევე ბათუმში თექვსმეტწლიანთა საქართველოს პირველობაზე ყველას აჯობა და ოქროს მედალი დაიმსახურა. იქიდან მოყოლებული, ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ პაექრობებში ხუთჯერ ავიდა კვარცხლბეკზე. თექვსმეტწლიანებში ზედიზედ მოიგო ერთეულთა თანრიგში ერევნისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირები. ამას წინათ სამჯერ იზეიმა გამარჯვება და სამივე — სტამბოლში.

მეორე კატეგორიის ტურნირში ხუთი ქვეყნის თექვსმეტმა ჩოგბურთელმა მოიყარა თავი. ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ რუმინელ იონელა ანდრეას სძლია 2:1 (3:6, 6:3, 6:2). ფინალში თურქთა საუკეთესო მეჩოგნის — შაღლა ბიუკაკჩის დასამარცხებლად, ასევე, სამი ხელის გამართვა (3:6, 6:4, 6:4) დასჭირდა.

მომდევნო ტურნირში 7 ქვეყნის ოცდათორმეტმა სპორტსმენმა იასპარეზა. მანანა შაფაქიძემ ყველა ბარიერი აქაც იოლად დაძლია. გადამწყვეტი შეხვედრა რუმინელ ალექსანდრა დამასშინს მოუგო — 6:2, 6:4. სხვათა შორის, ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრასთან ერთად წყვილთა თანრიგშიც ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მანანა შაფაქიძეს სექტემბერში თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე უნდა ეასპარეზა, მაგრამ, მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო ტურნირებში გამოვა, რადგან დასაოსტატებლად დიდებთან პაექრობა უფრო გამოადგებაო. 4-9 ოქტომბერს კი ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმება.

ქართველი ჩოგბურთელი ახლა ამ ოთხი მნიშვნელოვანი ტურნირისთვის მონდომებით ემზადება.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: მანანა შაფაქიძე სპორტულ კოლექციასთან ერთად; თურქეთის ტურნირზე დაჯილდოებისას.**



**სპორტულ ორბიტაზე**

## მატჩი გლოვით

**დღეს მსოფლიოს მრავალ სტადიონზე გაიმართება ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩები.**



მოსკოვში „ლოკომოტივის“ სტადიონზე რუსეთის ნაკრები უმასპინძლებს ლიხტენშტაინის ნაკრებს.

გუნდები მოედანზე გამოვლენ სამგლოვიარო სამკლაურებით ბესლანის სკოლაში ტერაქტის წლისთავთან დაკავშირებით.

შეხვედრის წინ გამოცხადდება წუთიერი დუმილი. მატჩის წინ და შესვენებისას გათვალისწინებული არ არის გასამხიარულებელი ღონისძიებები.

გადაწყვეტილია აგრეთვე უსაფრთხოების ზომების გაძლიერება 7 სექტემბერს პორტუგალიიდან ჩამოსული გულშემატკივრების უშიშროების უზრუნველსაყოფად. 500 პორტუგალიელი ქომაგის დასაცავად, ისინი კი „ლოკომოტივის“ აღმოსავლეთი ტრიბუნის მე-11 სექტორში განთავსდებიან, სექტორის ყოველ რიგში იქნება მილიციის წარმომადგენელი.

## ადრიანო ბედნიერდება

**იტალიური ფეხბურთის A სერიის პირველი ტურის ერთ-ერთი გმირი გახდა „ინტერის“ ბრაზილიელი ფორვადი ადრიანო. მან სამი გოლი გაიტანა „ტრევიზოს“ კარში, რამაც იოლი გამარჯვება მოუტანა მანჩინის გუნდს. თანაც კარგი საჩუქარი მოუმზადა თავის მომავალ ქორწინებას.**

ორშაბათს ხომ ადრიანო დანიელაზე დაინიშნა მეგობრებისა და ნათესავების ვიწრო წრეში. ქორწილი კი ალბათ რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება. თუმცა ქორწილისთვის მზადება ხელს არ უშლის ფეხბურთელს კარგ თამაშში.

## როცა ხელოვნება ამარცხებს ფეხბურთს

**რასაკვირველია, ქალს, შესაძლოა, უყვარდეს ფეხბურთი, მაგრამ მაინც მის ცხოვრებაში პირველი ადგილის დაკავება იშვიათად თუ ძალუძს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი, ბელგიის ქალთა ფეხბურთის გუნდის „ბერლორის“ მეკარეს ხელში ჩაუვარდა კარგი კონცერტის ბილეთი და სანამ ის მუსიკის მომაჯადოვებელი ჰანგებით ტკბებოდა, მისი გუნდი დაუჯერებელი ანგარიშით — 1:50 (!) დამარცხდა „მეჰელერთან“.**

მეტოქეებმა ანგარიში უკვე მატჩის მე-4 წამზე გახსნეს და პირველი ტაიმის ბოლომდე 27 გოლი გაიტანეს. მეორე ტაიმი „ბერლორმა“ უკეთესად ითამაშა და მხოლოდ 23 ბურთი გაუშვა, თანაც, როგორც იქნა, მეტოქის კარშიც გაიტანეს ერთი, პრესტიჟის გოლი.

## მთვრალი შაში?

**რუსეთში, ტვერის კლუბ „ზებრაში“ გაიმართება ქალაქის პირველი ჩემპიონატი „მთვრალ“ შაშში.**

როგორც „ინტერფაქსს“ კლუბის ადმინისტრატორმა აუწყა, ჩემპიონატში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს — ქალსაც და კაცსაც. „მონაწილეთათვის სპეციალური მოთხოვნაა: 18 წელზე მეტი ასაკი და ჯანმრთელობა. შეჯიბრება გაიმართება ოთხ დაფაზე. შაშის ქვების ნაცვლად იქნება სირჩები მაგარი სასმელით.

მამაკაცები „იბრძოლებენ“ არყიანი და ვისკიანი სირჩებით (თეთრი და შავი შაშებით), ქალებისთვის შედარებით სუსტი სასმელი იქნება.

ადმინისტრატორმა ისიც დაამატა, რომ, როცა ერთ-ერთი მოთამაშე „მოკლავს“ მეტოქის შაშს, მან ის სირჩა უნდა შესვას, წაგებული კი გადაიხდის ორივეს ღირებულებას.

გამარჯვებულს შინ უფასო ტაქსით მიაბრძანებენ.

## ვინ — ვის?

**მსოფლიო საფეხბურთო იერარქიაში ზეპ ბლატერი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ფრანც ბეკენბაუერი, მაგრამ ფეხბურთის მინდორზე ფიფას პრეზიდენტი აბა როგორ მოვა სახელგანთქმულ ფეხბურთელთან, თუნდაც უკვე „ყოფილთან“?**



საქართველოს რესპუბლიკა

№ 208. შაბათი, 3 სექტემბერი, 2005 წელი.

## ყველაფერი ყველაფერზე

### ჩაასხა და გაიქცა



**გერმანიაში საწვავის ფასები კატასტროფულად იზრდება. სწორედ ამან უბიძგა კანონმორჩილ გერმანელ ბიურგერებს ახალი სახის დანაშაულისკენ: ეს ერთი ხანია, იქ ბენზინის ქურდობა აყვავდა გასამართ სადგურებზე.**

ამ სადგურების თანამშრომელთა თქმით, საწვავის ქურდები, როგორც წესი, თვის ბოლოს აქტიურდებიან: ამ დროს ხელმრუდე მძღოლები ჯიბეგაფხეკილი რჩებიან და მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობენ – ხელფასამდე ან სოციალურ დახმარებამდე მიაღწიონ.

ქურდობა ელემენტარულად ხდება: მიაყენებს ბაცაცა გასამართ ავტომატთან ავტომობილს, „პისტოლეტს" ბენზინის ბაკს გაურჭობს, ჩაასხამს საწვავს 5-დან 18 ევრომდე თანხისას და გადაუხდელად წაგრიალდება. არცთუ იშვიათად, დამნაშავეებს ან სკოტჩითა აქვთ ნომრები დაფარული, ან მოპარული ნომრებით სარგებლობენ.

პოლიციამ ერთი ტენდენციაც მონიშნა: ქურდობის შემთხვევები გახშირდა შვებულების პერიოდის დადგომასთან ერთად. თანაც მარტო შელანძღული „გოლფების" მძღოლები კი არ იპარავენ, არამედ ძვირფასი „მერსედესების" მფლობელებიც. დანაშაულზე ჩავლებული ვაი-ქურდები ერთსა და იმავე სიმღერას წამოიწყებენ ხოლმე: ესაო-და, დამავიწყდა ანგარიშსწორება, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებო...

### როგორ ებრძოდა სვაზილენდის მეფე სექსს



**შეცდომას ყველა უშვებს. თუმცა, შეცდომების აღიარებას ყველა როდი კადრულობს, განსაკუთრებით, თუ ეს ეხებათ სახელმწიფო მოღვაწეებს. მაგრამ სამხრეთ აფრიკის ქვეყნის სვაზილენდის მეფე მსვატი III, როგორც ჩანს, მზად არის შეიტანოს კორექტივები საკუთარ პოლიტიკაში.**

რამდენიმე წლის წინათ მონარქმა თავის სამეფოში აკრძალა სექსი 18 წლამდე ასაკის გოგონებისთვის. რისი მიღწევა სურდა ამით მეფეს? ალბათ, უნდოდა საზოგადოებაში აემაღლებინა ზნეობრივი დონე, და, რაც მთავარია, როგორმე აელაგმა XX საუკუნის შავი ჭირი, რადგან, მეფის ქვეშევრდომთა თითქმის ნახევარი აივ-ინფიცირებულია. იმის ნიშნად, რომ ნორჩი სვაზილენდელი უმანკოებას ინარჩუნებდა, გოგონას ევალებოდა ეტარებინა შალის ძაფისგან დამზადებული განსაკუთრებული ფუნჯი.

მონარქისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, საზოგადოებრიობა მაინც გამოთქვამდა პროტესტს. ასეთ ფუნჯებს ყველა როდი ატარებდა – თუ არ ჩავთვლით სოფლელ გოგონებს, რადგან ტომთა ბელადები გარკვეულწილად მაინც ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთ სოფლებში ზნეობრივი ნორმები. ქალაქებში კი, მეფის ბრძანებას ქალიშვილები, უბრალოდ, უგულებელყოფდნენ.

ამ მკაცრი განკარგულების ხელმოწერის შემდეგ, მეფემ თავის ჰარამხანაში აიყვანა მორიგი ცოლი – არასრულწლოვანი გოგონა. სვაზილენდელმა ქალებმა ვერ აიტანეს მონარქის ასეთი ორმაგი სტანდარტები და სამასამდე ახალგაზრდა ქალმა საპროტესტო გამოსვლა მოაწყო სასახლესთან. მსვატი III სხვა რა დარჩენოდა გარდა იმისა, რომ თავი ემართლებინა: აკრძალვა მხოლოდ გაუთხოვარ ქალიშვილებს ეხებაო. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, მას მაინც მოუწია დაეჯარიმებინა თავისი თავი – ერთი ძროხით. მეფის მზარეულებმა დაკლული ძროხის ხორცისგან სასწრაფოდ შეწვეს მწვადები და კომპენსაციის სახით მიართვეს სასახლესთან შეკრებილ ქალებს. სვაზილენდელმა მანდილოსნებმაც სიამოვნებით მიირთვეს მწვადი და სახლებს მიაშურეს.

როცა დემონსტრანტები დაიშალნენ, მეფემ შეიგნო თავისი შეცდომა და გამოსცა მეორე ბრძანებულება: ყველა ქალწულს უბრძანეს შეკრებილიყვნენ სასახლის წინ, რათა საჯაროდ დაეწვათ თავიანთი უმანკოების ატრიბუტი – შალის ძაფის ფუნჯი. ასე აღადგინა მეფემ საზოგადოებაში სექსუალური თავისუფლება.

სვაზილენდის მეფე მსვატი III 36 წლის არის. მონარქს ჰყავს 12 ცოლი, 1 საცოლე და 27 შვილი. მის განსვენებულ მამას – მეფე სობჰუზს 70 ცოლი ჰყავდა.

◎ ჩვენებურებზე

# „ვის უხმობს ზარი?"

## ბულატის ქვრივი ვერ ახერხებს პრეზიდენტთან დარეკვას



**მწერალთა დასახლება პერედელკინო, დოვჟენკოს 11: ეს პაწია აგარაკი დიდ სახლად იქცა პოეტის ყველა მოყვარულისთვის, ვისთვისაც აქ მოსვლა დღესასწაულია. ბულატ ოკუჯავას სახელმწიფო მემორიალური მუზეუმი უკვე მეშვიდე წელს მოითვლის...**

ბევრმა იცის, რომ მუზეუმში პატარა ზარების მზარდი კოლექცია ინახება. ერთხელ ბულატ ოკუჯავამ ასეთი ზარი საჩუქრად მიიღო ბელა ახმადულინასგან, ზედაც მხიარული პოეტური სტრიქონები – ესაოდა, დამირეკე, ხელათვე შენთან გავჩნდებიო. პოეტს ძღვენი ძალიან მოეწონა. როცა ეს ამბავი ხალხის ყურამდე მივიდა, სტუმრებმა მას თავიანთი ზარუნების მოზიდვა დაუწყეს. ახლა კოლექციაში სამასზე მეტი აწყვია.

27 აგვისტოს, პერედელკინოში, ზარუნას მორიგ დღეზე შეიკრიბნენ მუზეუმში ანდრეი ვოზნესენსკი, ზოია ბოგუსლავსკაია, მიხეილ როშჩინი, რიმა კაზაკოვა, ლეონიდ ჟუხოვიცკი...

არადა, ეს შეიძლება უკანასკნელი ასეთი დღე აღმოჩნდეს. პოეტის ქვრივის, ქალბატონი ოლგას ეს შეშფოთება უსაფუძვლო როდია. ბულატ ოკუჯავას მუზეუმმა ფედერალური სტატუსი 1999 წლის თებერვალში მოიპოვა, როცა მთავრობის მეთაური ვლადიმერ პუტინი გახლდათ. ამ გადაწყვეტილებამ აღაფრთოვანა ყველა, ვინც მუზეუმის შექმნას ეხმარებოდა და ვინც აქ დიდი სიყვარულით (და პატარა ხელფასებით) მუშაობს. განვლილ პერიოდში სახლი 70 ათასზე მეტმა კაცმა მოინახულა.

მუზეუმი ჯერ კულტურის სამინისტროს გამგებლობაში იყო, მერე კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალურ სააგენტოში „გაწერეს"; ახლა კი მოულოდნელად მოვიდა „ფრადკოვის ქაღალდი" (მინისტრთა კაბინეტიდან), რომლის მიხედვითაც მემორიალს საოლქო დაქვემდებარებაში გადაცემა ემუქრება. ასეთმა მინიშნებამ პირდაპირ გააოგნა მუზეუმელები. რა საჭიროა წარმატებული და საერთო-სახალხო სიყვარულით მოსილი ოკუჯავას სახლის ასე „გაფეხბურთება"?

რამდენიმე თვის წინათ ოლგა ოკუჯავამ პრეზიდენტს წერილი მისწერა – დაგვიცავითო. ეტყობა, პუტინისთვის არც გადაუციათ. ამ პირქუშ ატმოსფეროში სწორედ ზარის შემოკვრის დროა...

„MK"

# 8 წლით „მივიწყებული" კათეტერი

## ლეო ბოკერიას მადლიანი ხელის კიდევ ერთი მონაგარი



**პატარა სარატოველი ტიგრანის გული 12 სანტიმეტრი სიგრძის მილაკმა ჯერ კიდევ 1997 წლის შემოდგომაზე გახვრიტა. მხოლოდ ამ ზაფხულს შეძლეს მოსკოველმა დასტაქრებმა ბიჭუნას ორგანიზმიდან მისი ამოღება.**

### სამშობიარო სახლის ექიმების წაყრუება

– პირველი მშობიარობა მძიმე მქონდა, – ჰყვება ანაიდ ნასიბიანი, ტიგრანის დედა. – იყო გართულებები, ბავშვს წამლების შეყვანა დასჭირდა. ჰოდა, ჭიპის ვენაში კათეტერი ჩაუდგეს, მაგრამ რომელიღაც მომენტში ძაფის სამაგრები მოსუსტდა და მილაკი ვენამ „შეიწოვა".

ამ უბედურ შემთხვევაზე მაშინ ანაიდს არც კი უთხრეს. მხოლოდ თითქმის რვა წლის შემდეგ, როცა სიმართლე შეიტყო, გაახსენდა იმ დღეთა უცნაურობები: რა შეშინებულნი შესცქეროდნენ სარატოვის სამშობიარო სახლის მედიკოსები; როგორ მოვარდა პალატაში, ერთხელ ღამით, განყოფილების გამგე ქალი და მშობიარეს სასწრაფოდ ქმრის გამოძახება სთხოვა – ესაო-და, დახედოს შვილსო. ეტყობა, ამ ქალბატონმა გადაწყვიტა, რომ ბიჭს დიდი დღე არ ეწერა...

ხუთ წლამდე ტიგრანი ჩვეულებრივ ბავშვად იზრდებოდა. პირველი სერიოზული „ზარები" ერთნახევარი წლის წინათ დაეწყო.

– ბიჭს ტემპერატურა ყოველდღე 38 გრადუსამდე აუწევდა ხოლმე, – ამბობს დედა. – ექიმებს უკვე თირკმელებიც ეეჭვებოდათ, სისხლიც. მხოლოდ ერთი თვის წინათ გამოავლინა გულის ულტრაბგერითმა გამოკვლევამ: მარჯვენა წინაგულში უცხო საგანია გაჩხერილი. არადა, გამოირკვა, რომ ოპერაციის გამკეთებელი არავინაა: სარატოველი სპეციალისტები „ერთსულოვნად" წასულან შვებულებაში...



### „უნიკალური შემთხვევა"

ოპერაცია ტიგრანს ივლისის ბოლოს გაუკეთეს მოსკოვში, გულსისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრში.

– ჩვილებს რაღაცა დროით უნარჩუნდებათ ჭიპის სადინარი, რომელიც ქვედა ღრუ ვენას უერთდება, იქიდან – წინაგულს. ასე მოხვდა კათეტერი ტიგრანის გულში, – მოგვითხრობს სახელგანთქმული ქირურგი, ცენტრის დირექტორი ლეო ანტონის ძე ბოკერია, რომელმაც ოპერაცია გააკეთა. – ბიჭს გაუმართლა! კათეტერსა და იმაზე შემოკრულ თრომბებს ნებისმიერ მომენტში შეეძლო ფილტვებამდე დასვლა. ეს ნაღდი სიკვდილია. თვითონ ოპერაცია იოლი იყო, ერთი საათიც არ დაუკავებია. შემთხვევა კი უნიკალურია. ამდენი ხნით უცხო საგანი არავის არ „გაჩხერია" გულში!

სამ დღეში ბიჭი უკვე ფეხზე წამოდგა. ექიმების აზრით, ყველაფერი კარგად იქნება...

„КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА".

## ქრონოგრაფი

### 5 სექტემბერი, 1964 წელი



**ინდოეთში** ოფიციალურად დააარსეს მასწავლებლის დღე, რომელიც დიდი განმანათლებლის რადხაკრიშნან სარვაპალის (1888-1975) დაბადების დღეს დაამთხვიეს. სარვაპალი ინდოელი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფიის პროფესორი გახლდათ, რომელმაც ქვეყნისთვის შეიმუშავა კონცეპტუალური მდგომარეობები და განახორციელა განათლების რეფორმა.

### 6 სექტემბერი, (+1747 წელი)



**ხსენების დღე** ღირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედისა. იგი გახლავთ გარეჯის უდაბნოს წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი. მას, როგორც საქმითა და სიტყვით გამორჩეულს, დიდ მმარხველსა და მლოცველს, ღვთისგან სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული. ერთხელ ღირსი სერაპიონი მონასტრის ძმებთან ერთად ქალაქში წავიდა საქმეზე. წინ მიმავალ მსახურებს, რომლებსაც საღმრთო მსახურებისათვის საჭირო ნივთები მიჰქონდათ, ავაზაკები დაესხნენ თავს და გაძარცვეს. მათ ყოველივე წინამძღვარს აუწყეს. ღირსი სერაპიონი ავაზაკებს მარტოდმარტო გაედევნა კვერთხშემართული. მათ ნაძარცვი დაყარეს და მიიმალნენ. შემდეგ უთქვამთ: „ვინ იყო ის ბერი ცეცხლოვანი კვერთხით, რომ მოგვსდევდაო?" ამ შემთხვევის გარდა ღირს სერაპიონს უამრავი ამოუხსნელი სასწაულის კეთება მიეწერება. მან იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალება და მონასტრის ძმებს სთხოვა, რომ მის მიერვე წინასწარ მომზადებულ საფლავში დაემარხათ, რათა ტაძარში ყველა შემსვლელ-გამომსვლელს მისთვის გადაევლო. წმიდა სერაპიონი 1747 წელს აღესრულა. ანდერძისამებრ დაკრძალეს ტაძრის შესასვლელში.

### 7 სექტემბერი, 1995 წელი




**გინესის** რეკორდების წიგნი კიდევ ერთი უცნაურობით შეივსო – კანადის კომპანიებმა „ლობლოუს სუპერმარკეტს Ltd" და „აგროპურ დეიერიზმა" გააკეთეს მსოფლიოში უდიდესი ყველი ჩედერი, რომელიც 26,09 ტონას იწონიდა. ამ გიგანტური ყველის დამზადებას 245 ათასი ლიტრი რძე დაჭირდა.

### 8 სექტემბერი, 1522 წელი



**დასრულდა** ცნობილი ზღვაოსანის ფერნანდო მაგელანის მსოფლიოს გარშემო პირველი მოგზაურობა, რის შემდეგაც საბოლოოდ ირწმუნეს, რომ დედამიწას სფეროს ფორმა აქვს. თავად კაპიტანი მაგელანი ესპანეთში არ დაბრუნებულა – იგი ფილიპინებზე ველურებთან ბრძოლაში დაიღუპა 1521 წელს. ჩაიძირა მისი ხუთი ხომალდიდან ოთხი: „ტრინიდადი", „სანტიაგო", „სან-ანტონიო" და „კონსეპსონი". მხოლოდ ერთადერთი ხომალდი „ვიქტორია" ბასკმა მეზღვაურმა სებასტიან ელ კანომ შეაცურა სევილიის ყურეში. მას თან ახლდა 18 მეზღვაური. 247 ზღვაოსანი მოგზაურობის დროს დაიღუპა.

### 9 სექტემბერი, 1913 წელი

**ქალაქ კიევში** სირეცკის აეროპორტის თავზე სამხედრო მფრინავმა პეტრე ნიკოლოზის ძე ნესტეროვმა თვითმფრინავ „ნიუპორ-4"-ით მსოფლიოში პირველმა შეასრულა ურთულესი პილოტაჟი – მარყუჟი, რომელსაც შემდგომ „ნესტეროვის მარყუჟი" ანუ „მკვდარი მარყუჟი" უწოდეს.

### 10 სექტემბერი, (+475 წ.)



**ხსენების დღე** წმიდა მოწამე შუშანიკისა. იგი ჰერეთის პიტიახშის ვარსქენის მეუღლე იყო. ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი, სომხეთის მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული, ბავშვობიდანვე ღვთის შიშითა და სიყვარულით გამოირჩეოდა. იმ დროს ქართლში სპარსელები ბატონობდნენ. სპარსეთის სამეფო კართან კეთილი ურთიერთობის დამყარების მიზნით ვარსქენი სპარსეთის მეფე პეროზს ეწვია, მაზდეანობა მიიღო და შეჰპირდა, რომ ქართლში დაბრუნებული ცოლ-შვილსაც რჯულს შეაცვლევინებდა. საპიტიახშო ქალაქ ცურტავში დაბრუნებულმა პიტიახშმა საწადელს ვერ მიაღწია. გაგულისებულმა სასტიკად სცემა მეუღლე, შემდეგ სენაკში ნაგვემი და შებორკილი ჩაკეტა და დარაჯი დაუყენა. დიდ მარხვა იყო, შუშანიკი ეკლესიის მახლობლად სენაკში გადაიყვანეს, სადაც ნაწამები მარხვა-ლოცვაში ატარებდა წმიდა ორმოც დღეს. მარხვის შემდეგ ვარსქენმა დედოფალი სასახლეში წაიყვანა, სასტიკად აწამა და დილეგში ჩააგდო, სადაც წმინდანმა ექვსი წელი გაატარა. იგი თავად ამხნევებდა, ეხმარებოდა და ლოცვით კურნავდა სანახავად მისულ ქრისტიანებს. დედოფალი ყველაზე მეტად შვილების ცეცხლთაყვანისმცემობაზე გადაბირებამ შეაძრწუნა. სიკვდილის წინ წმიდა მოწამემ ყველა დალოცა და ითხოვა დაესაფლავებინათ იქ, საიდანაც პირველად გამოათრია ურჯულო ქმარმა. VI საუკუნეში ქართველებმა შუშანიკის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

### 11 სექტემბერი, 1909 წელი

**გერმანელი** ასტრონომის მაქს კოლფის დაკვირვებებმა კომეტა ჰალეაზე დედამიწის ორბიტის სიახლოვეს, სათავე დაუდო კომეტის მეცნიერულ გამოკვლევებს. მისი მოძრაობის სიჩქარე 128 ათასი კმ/სთ-ია. პირველად კომეტა აღწერა ედმუნდ ჰალეიმ 1705 წელს. უფრო მეტიც, მან იწინასწარმეტყველა კომეტის ხელახალი გამოჩენა 1758 წელს. კომეტა მართლაც გამოჩნდა 1758 წლის მიწურულს და სწორედ მაშინ შეარქვეს მისი აღმომჩენის სახელი. ბოლოს კომეტა 1985 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 1986 წლის მარტ-აპრილში დააფიქსირეს კოსმოსურმა აპარატებმა „ვეგა-1"-მა, „ვეგა-2"-მა და კოსმოსურმა ზონდმა „ჯოტომ". ციური სხეულის შემდგომი „ვიზიტი" 2061 წლისთვისაა „დაგეგმილი".



◎ ნოდარ ვახანიას თვალსაწიერი

# მექსიკის ცის ქვეშ

**იმ ზაფხულს მშობლიურ თბილისში ჩამოსულმა მექსიკელმა პროფესორმა ნოდარ ვახანიამ მექსიკური დოქტორობა არ იკმარა და „ქართულად" დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. დაიცვა შესანიშნავად, ორი ქართველისა და ერთი რუსეთელის ოპონენტობით, ბევრი ნაცნობ-მეგობრის თანდასწრებით, მამის – გამოჩენილი მათემატიკოსის, აკადემიკოს ნიკო ვახანიას თვალწინ და „ყურწინ", რომელიც, სხვათა შორის, შვილზე მეტად ღელავდა...**

სანამ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორთან, მექსიკის მორელოსის შტატის უნივერსიტეტის (ქალაქი კუერნავაკი) პროფესორთან, ნოდარ ვახანიასთან მაშინდელ საუბარს შემოგთავაზებდეთ, მის „დოსიეს" გავეცნოთ.

44 წლის მკვლევარი 30-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, მაღალრეიტინგიან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულებისა; კვლევის სფეროდ განრიგთა თეორია აქვს არჩეული, სადაც ოპტიმალური მართვა და ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღება შეისწავლება რეალურ სისტემებში (ამგვარ სისტემებად შეიძლება, მაგალითად, ქარხნის, აეროპორტის, თვით კომპიუტერული სისტემის გააზრება); გრძელვადიანი გრანტების მფლობელია აშშ-ში, მექსიკაში, საფრანგეთსა და გერმანიაში, აქვს საერთაშორისო განმანათლებლის წოდება (კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის ხაზით); მშობლიური ქართულის გარდა იცის რუსული, ინგლისური და ესპანური ენები; ჰყავს მეუღლე – ელენე გოლუზინსკაია-ვახანია და შვილები – 10 წლის თამარი და 4 წლის ლუკა.

ჩემს რესპონდენტს 40 წელზე მეტია, ანუ მისი პატარაობიდან ვიცნობ (როგორც ჩემი ძველი ამხანაგების – ინგლისური ენის სპეციალისტის, ციალა მაისურაძისა და აკადემიკოს ნიკო ვახანიას უმცროს ვაჟს). „შენობითაც" ამიტომ მივმართავ...

***– ნოდარ, მექსიკა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქართველ „სად წაყვანილთა" საასპარეზოდ იშვიათად გვხვდება. იქ როგორ მოხვდი?***

– ერთ-ერთ იქაურ ინსტიტუტში მამა ნახევარი წლით მიიწვიეს სამუშაოდ. ერთი თვით ჩავედი მასთან ტურისტად. შრომები გავგზავნე იქ, სადაც, როგორც მე ვიცოდი, ჩემი საკვლევი თემატიკა აინტერესებდათ. მალე მიმიწვიეს კიდევაც.

***– როგორია შენი მექსიკური ქალაქი, უნივერსიტეტი, მუშაობის, ცხოვრების პირობები?***

– კუერნავაკა ესპანურად „ძროხის რქას" ნიშნავს, მეხიკოდან ავტომობილით ერთი საათის სავალზეა, ძალიან კარგი მაგისტრალების გავლით. „მუდმივი გაზაფხულის ქალაქს" უწოდებენ საუცხოო კლიმატის გამო. კოლონიურ-ესპანური ტიპის ცენტრია, 1500-2000 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ერთი მილიონი მცხოვრებით.

ნორმალურ ყოფით პირობებში ვცხოვრობთ – ორსართულიანი სახლი, აუზი, ბაღი. ონკანის წყალი არ ისმევა, გაფილტვრა უნდა. სასმელ წყალს ვყიდულობთ, ბალონებით მოაქვთ, ისე, როგორც გაზი.

უნივერსიტეტში ლექციების კითხვას სახელმწიფო ენაზე მოითხოვენ და სალექციო კურსებს ესპანურად ვუძღვები. შრომებს კი ინგლისურად ვწერ, რადგან ჩემი ძირითადი სამეცნიერო კონტაქტები ინტერნაციონალურია.

პროფესორის ხელფასი საკმაოდ დიდია, თუმცა ორი მესამედი იმ დანამატებისგან შედგება, რომელთა ოდენობას მიმდინარე აკადემიური მიღწევები განაპირობებს.

***– ოჯახზე, ცოლ-შვილზე გვიამბე. თქვენთან, ალბათ, „ლინგვისტური" მრავალფეროვნება შეიმჩნევა...***

– ელენეს კრასნოიარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკურ-კიბერნეტიკული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, მერე მოსკოვში სწავლობდა, ასპირანტურაში, იქ გავიცანით ერთმანეთი 1993-ში... ახლა მორელოსის უნივერსიტეტში საათობრივ ანაზღაურებაზეა, სოციოლოგიურ-ეკონომიკური საგნები მიჰყავს. რუსული მისთვის მშობლიური ენაა, მეც და ბავშვებსაც, ძირითადად, რუსულად გველაპარაკება, თუმცა ხშირად ქართული ჩანართებით. ესპანურად ჩემზე უკეთ ლაპარაკობს, ინგლისურად – ჩემზე სუსტად. ქართული ჩანართები რომ ვახსენე – რამდენიმე წინადადებას წარმოთქვამს, ესმის კი მეტი.

თამრიკომ ქართული თავისუფლად იცის – მექსიკაში მას, ერთადერთს, ვესაუბრებოდი წლების განმავლობაში ქართულად. იქ ესპანურ სკოლაში სწავლობდა. თბილისში რამდენიმე თვე ბიძამისის სკოლაში დადიოდა, მესამე კლასში (ნოდარის უფროსი ძმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ვახანია მე-4 ექსპერიმენტული სკოლის ავტორი გახლავთ – **თ. ე.**). დედას რუსულად ელაპარაკება, მე – ქართულად. სულ ვეუბნები – ლუკასაც ქართულად ელაპარაკე-მეთქი.

ლუკა მექსიკაში დაიბადა, იქ დაიწყო ცოტა ქართული, მერე, თბილისში ჩამოსულმა, რამდენიმე კვირა იარა საბავშვო ბაღში და გვარიანადაც აიდგა ენა. ამასობაში ესპანური დაავიწყდა, მაგრამ არა უშავს, მექსიკაში რომ ჩავა, აღიდგენს.



***– ესპანურ ენაზე შენს დაკვირვებებს ხომ არ გაგვიზიარებ?***

– ჩემთვის მექსიკელთა ესპანური ყველაზე გამჭვირვალეა, ლოგიკურად მარტივი, ბუნებრივად მჟღერი, თუმცა არც „პრიმიტიული". კუბელების ესპანური, მაგალითად, ჩახლართულია. არგენტინელების, ჩილელების, ურუგვაელების, ზოგ სხვა სამხრეთამერიკელთა ესპანურს „იტალიურად მოლაპარაკეთა ესპანურს" ვუწოდებდი: იტალიურია მეტყველების მანერა, ინტონაციები, სტილი. გარდა ამისა, იმათთან ბევრი ესპანური სიტყვა ისე გაისმის, რომ შეუძლებელია „გამოცნობა".

***– ქართველები მექსიკაში... არის ამ თემაზე რამე სათქმელი?***

– ქართველი იქ ძალიან ცოტაა და ეს გასაკვირია, იმიტომ, რომ ხასიათში მართლაც გვაქვს მსგავსება და ჩვენებური ბევრი უნდა ჩასულიყო... ველოსიპედისტი ჯუმბერ ლეჟავა გვესტუმრა, ორი დღე დაჰყო, სამხრეთ ამერიკაში სამოგზაუროდ ჩვენგან წავიდა... ახლო ურთიერთობა გვაქვს მეხიკოში მცხოვრები ექიმის ირაკლი გვახარიას ოჯახთან. შემთხვევით კი გავეცანი: ჩვენი ქალაქის სუპერმარკეტში შესულს, სრულიად მოულოდნელად შემომესმა ქართული ლაპარაკი. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული...

***– ხასიათით ერთმანეთს ვგავართ ქართველები და მექსიკელებიო. მაინც, რითი?***

იხ. მე-7 გვ.

ნოდარ ვახანიას თვალსაწიერი

# მექსიკის ცის ქვეშ

(მეექვსე გვერდიდან)

– უწინარესად, გარეგნულად, გულთბილი მისალმება-მოკითხვით, ტემპერამენტით, ცხარე კერძებით, აგრეთვე... დაპირებითა და პირობის დარღვევით. იმათთან ეს კიდევ მეტად შეინიშნება, ვიდრე ჩვენთან. გეტყვიან, გავაკეთებო, მაგრამ არ გააკეთებს. ასეა ყოველდღიურობაში და ოფიციალურ დონეებზეც (ვთქვათ, უნივერსიტეტში).

გვანათესავებს ამბიციურობაც, თუმცა ეს მექსიკელებთან უფრო სიღრმისეულია – ჩვენი ამბიციურობა მე ზედაპირული მგონია. მექსიკელს შენში რაც არ მოსწონს, სულ ახსოვს, ქართველი წყენას უფრო ადვილად ივიწყებს.

ძალიან მაღალი აქვთ ყოფითი კულტურის დონე, ისევე როგორც ყველა დასავლურ ქვეყანაში. სამაგალითოა ავტომობილისტთა დამოკიდებულება ქვეითებისადმი, გზებზე ჯენტლმენობა, სხვებზე მეტი ზრუნვა, ვიდრე საკუთარ თავზე. თბილისში ხომ პირიქითაა, რაც გზებზე ხდება, გამაოგნებელია, საჭესთან ჯენტლმენობას კარგავენ.

მექსიკაში ნაგავს გარეთ არავინ დაგიყრის, სისუფთავისადმი ჩვენი დამოკიდებულება კი გამაოგნებელია, ყუთში ნაგვის ჩაყრის კულტურაც არა გვაქვს. იქ ვერ წარმოიდგენ სიგარეტის ისე თავისუფლად მოწევასაც, როგორ საქართველოში. ჩვენში ეს ჩვეულებრივი საქციელი ჰგონიათ და ნორმალური, არადა, უკულტურობაა, სხვათა უპატივცემულობაა.

ერთსაც გეტყვით: პირველი შეხედვით მექსიკელი თითქოს გულღია და ადვილად დასაახლობელია. სინამდვილეში ეს ასე არ გახლავთ. იციან მეზობლობაც, დახმარებაც, მაგრამ ქართველებზე უფრო ჩაკეტილები არიან – შეზღუდული, ნაკლებად მყარი ურთიერთობებით.

ამერიკელები არ უყვართ, თავს იმათგან შევიწროებულად მიიჩნევენ, თუმცა დიდწილად არიან ამერიკელებზე დამოკიდებულნი.

***– მექსიკურ საჭმელ-სასმელზე, სამზარეულოზე რას გვიამბობ?***

– მექსიკელთა უმეტესობისთვის, ეგებ სიიაფის გამოც, ტრადიციული კერძები არის ლობიო და ტორტი. ეს უკანასკნელი მზადდება სიმინდის ფქვილისგან, ბლინივითაა, პურის მაგიერია და პურზე პოპულარულიც. ერთადერთი მექსიკური საჭმელი, რომელიც მომწონს.

აქვთ ბრინჯის მრავალფეროვანი, ძალიან გემრიელი კერძები. არაალკოჰოლური სასმელი გამოდის მოხარშული ბრინჯის, რძის, შაქრისა და დარიჩინისგან – ორჩატა. სასიამოვნოა ასევე არაალკოჰოლური ხამაიკაც – კალორიული, მომჟავო, ლამაზი მუქი ფერისაა და წითელყვავილებიანი მცენარისგან მზადდება. ცოტა ან ბევრი შაქრით მიირთმევენ, გემოვნების მიხედვით. ერთობ პოპულარულია უცხოელებში.

მაგარი სასმელებისგან გავრცელებულია ტეკილა და მესკალი (კაქტუსის ფოთლებისგან ხდიან). ორივე ჩვენს ჭაჭაზე მაგარია.



***– საზღვარგარეთ მყოფს, როგორ გეჩვენება ქართულ მეცნიერებაში მიმდინარე მოვლენები, როგორ შეაფასებდი ამ სფეროში ახლანდელ ვითარებას?***

– გულსატკენია, რომ ამდენი ქართველი ინტელექტუალი იძულებულია უცხოეთში ეძებდეს სამოღვაწეო ასპარეზს. არც ერთი განვითარებული ქვეყნიდან ინტელექტუალები არ მიდიან (ან არ გარბიან).

საქართველო დიდი კულტურული და მეცნიერული ტრადიციების ქვეყანაა, ამ ტრადიციების დაკარგვა არაფრით არ შეიძლება. ახლავე უნდა საქმეს მიხედვა, რამდენიმე წლის შემდეგ ეგებ გვიანაც იყოს: საბოლოოდ დაიკარგოს ინტერესი ინტელექტუალური შრომისადმი და ვისაც ის შერჩენია, სხვა ქვეყნებში გახიზნულთ შეუერთდეს.

მეცნიერებათა აკადემიის შტატები შეიძლება ზედმეტად გაბერილია, მაგრამ ეს ხომ ადვილი გამოსასწორებელია. იმ მკვლევარებს, რომლებიც საქართველოში მაღალ საერთაშორისო დონეზე ილვწიან, ნამდვილად სჭირდებათ მნიშვნელოვანი მატერიალური სტიმულირება. აუცილებელია ღრმა მეცნიერული გამოკვლევების ღირსეული დაფასება.

მექსიკა ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის. თავს მისი მაგალითის მოყვანის უფლებას მივცემ: ბოლო ათწლეულებში მექსიკა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდძალ თანხებს გამოყოფს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის. მკვეთრად ამაღლდა ამ დარგების, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების აკადემიური მოსწრების დონე, რასაც ეკონომიკური განვითარების დონის აწევაც მოჰყვა. ვფიქრობ, ახლო მომავალში მექსიკა მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად იქცევა, მით უმეტეს, მექსიკელთა შრომისუნარიანობასა და გამძაფრებულ პატივმოყვარეობას თუ გავითვალისწინებთ.

***– რას იტყვის ნოდარ ვახანია თავისი ჰობის, გატაცებების, ჩვევების შესახებ...***

– ჩემი ჰობი მუსიკა გახლავთ, კერძოდ, ჯაზური. სისტემატურად ვთამაშობ ჩოგბურთს, საცურაოდ დავდივარ დიდ აუზში (პატარა შინაც მაქვს). ვცურავ ბრასით, გულაღმა, თავისუფალი სტილით, ყოველ ჯერზე ვფარავ 1500-2000 მეტრს.

მტკიცე ვეგეტარიანელი გახლავართ. ხორცეულის ჭამა ჯერ კიდევ მოსკოვში მივატოვე, 1980-იან წლებში. ვეგეტარიანელი როცა ხარ, სხვა საჭმელებს უფრო ატან გემოს, გრძნობ და აფასებ, უფრო ნაყრდები.

საქართველოში ხორცეული პოპულარულია, თუმცა ხომ გვაქვს არაერთი ვეგეტარიანული კერძიც: ბადრიჯანი, ლობიო, ბაჟე, სხვა ნიგვზიანი საჭმელები. დანაყრება, ცილების მიღება თავისუფლად შეიძლება რძის პროდუქტებით, სოკოთი, სოიათი. მივირთვათ ბრინჯი, დავაყოლოთ ყველი, ხილი, ბოსტნეული. ცხოვრება უხორცოდაც შეიძლება (დიდი ვაჟა ამაში არ დაგეთანხმებოდა-მეთქი, ვუთხარი აქ ნოდარს: „უხორცოდ დაზრდილ ბალღები რა ვაჟკაცობას იზამენ...“ – **თ. ე.**).

ცხოველების დაკვლა და ხორცის ჭამა მავნე გადმონაშთია. ღმერთმა ქნას, ამოიძირკვოს. ძროხის დაკვლისას, მაგალითად, სისხლში შხამი გამოიყოფა, ხორცში შეიწოვება, ამ გზით ადამიანის ორგანიზმში ხვდება და აგრესიულს ხდის.

ძალიან ბევრს დავდივარ ფეხით. ესეც და იოგების კეთებაც სავსებით ეხამება უხორცობას...

**მინაწერი: ნოდარის მამა, ნიკო ვახანია და უფროსი ძმა ზურაბი, თავიანთი ღვაწლისა და ავტორიტეტის წყალობით, უცხონი არ არიან „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. ნოდარ ვახანიამ პირველად დაიმსახურა ეს, როგორც მე მგონია, პატივი. რედაქციას როცა პირველად ესტუმრა (მეუღლესთან ერთად) ფოტოსურათიც მაშინ გადავუღეთ...**

**თამაზ ეზანოიძე**

## მსოფლიოს გარშემო

### დიდი ბრიტანეთი

#### ოდა აინშტაინს



**იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წელი გამოცხადებულია ალბერტ აინშტაინის წლად (100 წლის წინათ, 1905 წელს გამოქვეყნდა მისი ოთხი უდიდესი ნამუშევარი, რომელთა შორის იყო ფარდობითობის სპეციალური თეორია), ბრიტანეთის მეცნიერების ხელშემწყობმა ასოციაციამ მოაწყო გამოჩენილი მეცნიერის შრომებისადმი მიძღვნილი საერთო ეროვნული კონკურსი ლექსებად გამოთქმული საუკეთესო ნაწარმოებისთვის. კონკურსის ძირითადი ამოცანა იყო ხელი შეეწყო შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისთვის და წაეხალისებინა მეცნიერებისადმი ინტერესი. ერთი შეხედვით საკმაოდ უჩვეულო თემის შერჩევის ახსნა-განმარტებისას ასოციაციის პრეზიდენტმა როლანდ ჯექსონმა განაცხადა: „მართლაც, მეცნიერება, კერძოდ კი ფიზიკა, იძლევა გარე სამყაროს მეტად პოეტურ აღწერას, რითაც იგი ახლოა ლირიკასთან“.**

კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ყველა მსურველს: პროფესიონალ პოეტებსა და მოყვარულებს, მოზრდილებსა და ბავშვებს. შედეგების შეჯამების შემდეგ ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად გახლდათ პოპულარული ბრიტანელი ფანტასტი ტერი პრატჩეტი, ორი გამარჯვებული გამოავლინა. პირველი გახდა ყოფილი სუსექსელი ინჟინერი, რომელმაც პოეტიკური ფორმით გადმოსცა ფარდობითობის თეორიის არსი და ამასთან, შეძლო $E=mc^2$-ის ფორმულის გარითმვა. მეორე ლაურეატი ჯერ შვიდი წლისაც არ არის. სივრცისა და დროის თავისი გაგება მან შემდეგი სტრიქონებით გამოხატა: „რა მომწონს სივრცეში? იგი შავია, შემაძრწუნებელი და მოფენილია ყვითელი ვარსკვლავებით“.

გამარჯვებულებს პრიზად გადაეცათ, თითოეულს, ტელესკოპი.

### პერუ

#### ვარგას ლიოსას სასიყვარულო რომანი

**ახლახან მიცემულ რადიოინტერვიუში ცნობილმა პერუელმა მწერალმა მარიო ვარგას ლიოსამ განაცხადა, მორიგ წიგნზე მუშაობას შევუდექიო. სახელწოდებაც კი მოვიფიქრე „ცუდი გოგონას ფათერაკები“. „ეს იქნება სასიყვარულო რომანი, რომლის ჟანრი ჩემთვის სრულიად ახალია. ჩემს ყველა წინა წიგნში არის სასიყვარულო ინტრიგა, მაგრამ იგი არასდროს წინა პლანზე არ დამიყენებია. შესაძლოა, ახლა საკმაოდ მოვემწიფდი, რათა ეს ხარვეზი შევავსო“, – თქვა მწერალმა.**

ლიოსა აღიარებს, რომ ახლა, როდესაც მას 68 წელი შეუსრულდა, თავს ისე დაჯერებულად ვერ გრძნობს, როგორც ახალგაზრდობაში: „ხშირად ეჭვი მეუფლება, და ზოგჯერ, როდესაც მუშაობას შევუდგები ხოლმე, შინაგანად შიშის გრძნობა მიჩნდება“. ამასთან, ლიოსას ლიტერატურული შემოქმედება უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნია. იგი თვეობით და ზოგჯერ წლობითაც, გონებაში სიამოვნებით ატარებს სიუჟეტებს, და ძალთა უჩვეულო მოზღვავებას გრძნობს, როდესაც საწერ მაგიდას მიუჯდება: „ყოველთვის, როდესაც ვწერ, თავი კვლავაც ახალგაზრდად მიმაჩნია“, – ამბობს მწერალი.

### ამერიკის შეერთებული შტატები

#### სახეშეცვლილი ადამიანი




**1989 წელს აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები, სკინხედი ინგო ჰასელბახი დასავლეთში გადაბარგდა და იქ გაერთიანებულ გერმანიაში პირველი ნეონაცისტური ჯგუფი შექმნა. სამი წლის შემდეგ, როდესაც თავის საქმიანობაში იმედი გაუცრუვდა, გადაწყვიტა, თამაშიდან გამოსულიყო. მაგრამ არც ხელისუფლებას, მით უმეტეს, არც მის ყოფილ თანამოაზრეებს ინგოს სინანული სერიოზულად არ ჩაუთვლიათ. ის, მაღალი, ქერა, სასტიკი და ცინიკური, ზუსტად პლაკატიდან ჩამოვიდაო, რომელიც თითქოს არიულ უპირატესობას ამტკიცებსაო, ნეონაცისტებს ასეთი ლიდერის დაკარგვა არ სურდათ. ბედის ირონიით, ინგომ, ვისთანაც საერთო ენა გამონახა, – ეს იყო ადგილობრივი ებრაული თემის თავკაცი.**

ეს რეალური შემთხვევა როგორღაც ეხმაურება ფრანსინ პროუზის ახალ სატირულ რომანს „სახეშეცვლილი ადამიანი“, რომელიც ამას წინათ ამერიკულმა გამომცემლობამ „ჰარპერს კოლინზმ“ დასტამბა.

პროუზის გმირია მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფების წევრი, 32 წლის ვინსენტ ნოგლანი, რომელიც მოულოდნელად – ნაწილობრივ „ექსტაზის“ ზეგავლენით – განიცდის შინაგან გადატრიალებას – სიყვარულს გრძნობს იმათ მიმართ, რომლებიც ადრე მოსისხლე მტრებად მიაჩნდა: ზანგებისადმი, ებრაელებისადმი, კომუნისტებისადმი, სულით ავადმყოფებისადმი... როლანმა თავი სხვა ადამიანად იგრძნო, ამიტომ გადაწყვიტა დაგმოს კავშირი წარსულთან, ჯდება ბიძაშვილის მანქანაში და მანჰეტენისკენ გასწევს, რათა იქ ახალი ცხოვრება დაიწყოს. „ბიჭებო, მინდა დაგეხმაროთ – გადავარჩინო ჩემნაირი ტიპის ბიჭები. რათა ისინი გახდნენ ისეთი, როგორიც მე ვარ“, – ამგვარი გაზეპირებული ფრაზით ყოფილი სკინხედი მიდის ფილანტროპიული საზოგადოების ოფისში, რომელსაც სათავეში უდგას საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარი და ავტორი წიგნისა მეიერ მასლოუს შესახებ.

ისევე, როგორც კაცობრიობის კეთილდღეობისთვის მზრუნველთა დიდი უმრავლესობა, მეიერიც ზრუნავს უპირველესად საკუთარი სიკეთისთვის. იგი ხვდება, რომ ცოდვამონანიებული ფაშისტი სწორედ ის ფიგურაა, რომელსაც შეუძლია მდიდარი საზოგადოების ყურადღება მიიპყროს და ამით მეტად სასარგებლო აღმოჩნდეს მისი წიგნის წინ წაწევისთვის. ფილანტროპი აპირებს გამართოს საქველმოქმედო სადილი, რომელზეც ნოლანმა უნდა წარმოთქვას ამაღელვებელი სიტყვა და აიძულოს სტუმრები, ფული გაიღონ.

კრიტიკოსთა აზრით, რომანი ერთდროულად არის ბნელი და ნათელი, მხიარული და სევდიანი.

### საფრანგეთი

#### დიუმა და ადმირალი ნელსონი





**ახლახან საფრანგეთის წიგნის მაღაზიების ვიტრინებში გამოჩნდა უჩვეულო სიახლე – ალექსანდრე დიუმა-მამის დღემდე უცნობი რომანი სახელწოდებით „შევალიე დე სენტ-ერმინი“. იგი ჯერ კიდევ 1988 წელს ფრანგმა ლიტერატურათმცოდნემ და დიუმას სპეციალისტმა კლოდ შოპმა აღმოაჩინა, როდესაც ბიბლიოთეკაში გაზეთების „მონიტიორ იუნივერსალის“ 1869 წლის შეკვრას ათვალიერებდა.**

„შევალიე დე სენტ-ერმინი“ კლასიკური ისტორიული-ავანტიურისტული რომანია. ისტორიულ ფონად აღებულია ნაპოლეონისეული იმპერიის ჩამოყალიბების ეპოქა. შოპის აზრით, ყველაზე საინტერესო ნაწილი ეძღვნება ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლის აღწერას. როგორც ცნობილია, ამ ბრძოლაში ინგლისელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და დაამარცხეს ფრანგები და ესპანელები. საინტერესოა, რომ ცნობილი ბრძოლა ნაჩვენებია ფრანგი არისტოკრატისა და ყოფილი როიალისტის თვალით, რომელიც ნაპოლეონის დროში ქვეშ გადავიდა. ავტორის ჩანაფიქრით, სწორედ იქ ფრანგული გემის ანძიდან ისვრის საბედისწერო ტყვიას, რომელმაც ნელსონი სასიკვდილოდ დაჭრა.

„შევალიე დე სენტ-ერმინი“ ამთავრებს ნაპოლეონისეული საფრანგეთის შესახებ ტრილოგიას, რომელშიც შედის რომანები „იეგუს თანამებრძოლნი“ (1857) და „თეთრები და ლურჯები“ (1867).

თითქმის 900-გვერდიანი ნაწარმოები, ისევე, როგორც დიუმას სხვა თხზულებანი, გაზეთში იბეჭდებოდა როგორც რომან-ფელეტონი; იგი დაუმთავრებელი დარჩა 1870 წელს ავტორის გარდაცვალების გამო.

აღსანიშნავია, რომ შოპმა თვითონ შეთხზა მოკლე ფინალი, რათა მკითხველისთვის გული არ დაეწყვიტა.

სასტამბოდ ტექსტის მომზადება თხუთმეტ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. მთელი ამ დროის მანძილზე ნაპოვნ რომანს არ ახმაურებდნენ.

**თარგმნა ბ. ღარსაძემ**

## ყველაფერი ყველაფერზე

### ინტერნეტ-პორნოგრაფიის შეიძლება კანონგარეშედ გამოაცხადონ

**ისეთი ინტერნეტ-პორნოგრაფიის შენახვა და ჩვენება, რომელსაც ექსტრემალური ხასიათი აქვს, დიდ ბრიტანეთში შეიძლება სისხლის სამართლით დასჯადი დანაშაული გახდეს.**

ექსტრემალური პორნოგრაფიის გავრცელება დიდ ბრიტანეთში უკვე კანონგარეშედ არის გამოცხადებული, მაგრამ ეს აკრძალვა არ ეხება უცხოურ ვებ-საიტებს. ახალი კანონი, რომლის პროექტსაც ახლა განიხილავს ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო, გააფართოებს ამ აკრძალვის მოქმედებას.

კანონის პროექტს მხარი დაუჭირეს ჯეინ ლონგჰერსტის ნათესავებმაც. ეს ქალიშვილი ორი წლის წინათ მოკლა ადამიანმა, რომელიც გაიტაცა ინტერნეტში ძალადობის შემცველი პორნოგრაფიის ყურებამ.

გრემ კუტსი, საათობით უყურებდა ინტერნეტში ქალების მკვლელობის პორნოგრაფიულ კადრებს. ჯეინის დაღუპვის შემდეგ, მისმა დედამ წამოიწყო კამპანია ასეთი ვებ-საიტების დახურვის მიზნით.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ პოლ ჰოგინსმა განაცხადა, ექსტრემალური პორნოგრაფიის ადგილი არ არის საზოგადოებაში.

ახალი კანონპროექტი გაითვალისწინებს სასჯელს – სამ წლამდე ვადის პატიმრობას – ექსტრემალური პორნოგრაფიის შენახვისა და ჩვენებისთვის.




სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კანონის მოქმედება არ გავრცელდება იმ ადამიანებზე, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ აკრძალულ ვებ-საიტებზე.

თავის მხრივ, „ინტერნეტ-ფრიდომის“ ორგანიზაციის დამფუძნებელს კრის ევანსს მიაჩნია, რომ აკრძალვა არ არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. მისი აზრით, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თვითონ აირჩიონ, თუ რას უყურონ.

### ახალი მიუზიკლი ბროდვეიზე

**ნიუ-იორკში, ბროდვეის ერთ-ერთ თეატრში იდგმება ახალი მიუზიკლი ლეგენდარული ბითლის, ჯონ ლენონის ცხოვრების შესახებ. სპექტაკლი ეფუძნება მის სიმღერებსა და მრავალრიცხოვან ინტერვიუს. რეჟისორ დონ სკარლინოს პიესის ხელახლა გადაწერა მოუხდა – წინასწარ ჩვენებას აპრილში კრიტიკა ცუდად შეხვდა.**

თავიდან მიუზიკლი ინტერმედიებით ჩანაცვლებული რამდენიმე სიმღერისგან შედგებოდა, ამასთან, დასის ცხრა წევრიდან თითოეული მორიგეობით ასრულებდა მთავარი გმირის როლს. ახლა კი სპექტაკლში მხოლოდ ერთი ჯონ ლენონი დარჩა, რომელიც თავისი ცხოვრების ისტორიას ყვება – ლივერპულში გატარებული ბავშვობიდან, ნიუ-იორკში 1980 წელს მოკვლამდე. პოლ მაქკარტნის როლს კი შავკანიანი მსახიობი თამაშობს.

მიუზიკლში ლენონის 28 სიმღერა სრულდება, იმათ რიცხვში – ორი ადრე გამოუცემელი: „ინდოეთი, ინდოეთი“ და „არ მინდა შენი დაკარგვა“. სპექტაკლში მეტი ყურადღება ლენონის ბითლურ პერიოდსა და პირველ ცოლთან სინტიასთან მის ურთიერთობებს ეთმობა, ხოლო იოკო ონოსთან რომანი დაჩრდილულია. თვით იოკო, რომელიც ქმრის შემოქმედებაზე ყველა უფლების მფლობელია, ამბობს, რომ დადგმა მოეწონა. „ეს სწორედ რომ ჯონის ისტორიაა. მე ამაში მხოლოდ ფირფიტის მეორე მხარე ვარ და ასეც უნდა იყოს... ყველა სიმღერა ჩინებულადაა შესრულებული და სპექტაკლი ძალიან სასაცილოა. იმ მომენტამდე, როცა ჯონი იღუპება, სულ ვიცინოდი. რასაკვირველია, ბოლოში რომ ხალხი ტირილს იწყებს, მეც გამიჭირდებოდა ცრემლებისგან თავის შეკავება...“

### „მეტეორიზმის დამხშობი“

**ამერიკელმა ინჟინერმა კლიფ გრიუნვიქმა „მეტეორიზმის დამხშობი“ ააწყო (მეტეორიზმი – მუცლის გაბერვა). ეს ხელსაწყო შედგება სპეციალური მიმღებისგან, რომელზეც მიერთებულია შვიდდუიმიანი საქშენი.** სიმყრალე ჯერ მიმღებში მოხვდება, მერე კი განსაკუთრებულ დამხშობში, რომელიც, ძირითადად, ნახშირის ფილტრისგან შედგება. აქ ნაწლავების ნასაქმი გაზისებური პროდუქტები მყრალ მდგენელებს მოიცილებენ, თეძოზე დამაგრებულ წვრილ რეზინის შლანგს გაივლიან და კოჭის ახლოს გამოდიან სუფთა ჰაერის სახით.

## მალაიზია სექსის წინააღმდეგ



**მალაიზიის მთავრობამ უბრძანა პოლიციას განახორციელოს მოქალაქეთა მობილური ტელეფონების შერჩევითი შემოწმება.**

მთავრობამ ასეთი რეაგირება მოახდინა გაზეთებში გავრცელებულ ინფორმაციებზე, რომელთა ავტორებიც ამტკიცებდნენ, რომ ახალგაზრდები მობილური კავშირის მეშვეობით უცვლიან ერთმანეთს პორნოგრაფიულ ვიდეოკლიპებსა და ფოტოსურათებს.

როგორც მალაიზიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნო ომარმა განაცხადა, იგი შეშფოთებულია იმით, რომ ასეთი რამ სულ უფრო ფართოდ ვრცელდება.

ოფიცრებს ევალებათ, დაუყოვნებლივ ამოიღონ ყველა პორნოგრაფიული ფოტო, რომლებსაც კი ისინი აღმოაჩენენ მობილური ტელეფონების „მეხსიერებაში“.

ინტერნეტ-კაფეების მფლობელებიც დაისჯებიან, თუ გაირკვევა, რომ ისინი არ კრძალავენ ინტერნეტიდან პორნოგრაფიის გადაწერას.

მკაცრ ზომებს მიიღებენ ასევე, იმ მობილური კავშირების ოპერატორთა მიმართაც, რომლებიც ახორციელებენ პროგრამულ უზრუნველყოფას პორნოგრაფიის გადაწერისთვის.

მალაიზიაში, ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც მუსლიმანები შეადგენენ, არათუ პორნოგრაფია, არამედ ტელევიზიით იმ სცენების გადაცემაც კი აკრძალულია, რომლებშიც მსახიობები ერთმანეთს კოცნიან.

პორნოგრაფიული პროდუქციის მფლობელებს ამ ქვეყანაში ელით 5 წლამდე ვადის პატიმრობა და 13 ათას დოლარზე მეტი ჯარიმა.

## ლიფების გამოფენა

**ისე ჩანს, ბელგიელებს ახალი ეროვნული გასართობი გამოუჩნდათ – თავიანთი ქალაქების ქუჩებში მაქსიმალური რაოდენობის ბიუსტჰალტერების გამოკიდება. თანაც იმის მიღწევაც, რომ იმათ ქალაქში მეტი „სამკაული“ ეკიდოს, ვიდრე მეზობლებთან. მაინც, რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი?**

ინიციატივა 2001 წელს წამოვიდა ქალაქ ტონგერლოდან, რომლის ქუჩებშიც ქალის ტუალეტის 7500 ელემენტისგან შემდგარი გირლანდა გაფინეს. ეს ამბავი ზღვისპირა ქალაქის ოსტდიუნკერკის მოქალაქეებმა აიტაცეს – თხა თხაზე ნაკლებიო... ადგილობრივ ფარნებზე, ხეებსა და ბოძებზე 9829 ლიფისგან შემდგარი მორთულობები გაჰკიდეს. ახლა ასე შთამბეჭდავი დეკორაციის ორგანიზატორებს აქვთ სიამაყის საბაბი: ისინი გინესის რეკორდების წიგნიდან ტონგერლოელ „კონკურენტებს“ გამოაძევებენ და შესაბამისად, თვითონ შევლენ ისტორიაში.

ესოდენ სერიოზულ შეჯიბრებაში გამარჯვება რომ სიგიჟედ არ გამოიყურებოდეს, კეთილი საქმეების ჩადენით შეავსებენ. რამდენიმე ხნის შემდეგ გირლანდს რუმინეთში გაგზავნიან – აქაოდა, გაჭირვებულმა რუმინელმა ქალებმა ბიუსტჰალტერები დანიშნულებისამებრ გამოიყენონო.

## მეცნიერები უარყოფენ მობილურ ტელეფონებსა და კიბოს შორის კავშირს

**მობილური ტელეფონებით სარგებლობა არ ზრდის კიბოთი დაავადების რისკს, ყოველ შემთხვევაში, პირველი 10 წლის განმავლობაში მაინც. ამას მოწმობს ბრიტანელი მეცნიერების მიერ ამ ბოლო ხანებში განხორციელებული მასშტაბური გამოკვლევების შედეგები.**

წინათ არაერთხელ გამოუთქვამთ ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მობილური ტელეფონები ზრდიდნენ ეგრეთ წოდებული აკუსტიკური ნევრომის – ტვინისა და ყურის დამაკავშირებელი ნერვის კეთილთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნის რისკს. თუმცა, ამ მოსაზრებას მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავდა.

ბრიტანეთის კიბოს კვლევის ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეისწავლეს 4 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემები დიდ ბრიტანეთში, დანიაში, ფინეთში, ნორვეგიასა და შვედეთში. გააანალიზეს აკუსტიკური ნევრომით დაავადებული 678 პაციენტის და იმ 3.553 ადამიანის ავადმყოფობის ისტორიები, რომლებსაც არ დაუდგინეს სიმსივნის დიაგნოზი.

ანალიზის დროს ვერ აღმოაჩინეს ვერანაირი კავშირი რისკის დონე-



სა და იმ წლების რაოდენობას შორის, რომელთა განმავლობაშიც ესა თუ ის ადამიანი სარგებლობდა მობილური ტელეფონით.

მეცნიერთა დასკვნა ასეთია: პირველი 10 წლის განმავლობაში მობილური ტელეფონით სარგებლობა ადამიანის ორგანიზმში არ იწვევს არანაირ ცვლილებებს.

თუმცა, უფრო შორსმიმავალი დასკვნები მეცნიერებს არ გამოუტანიათ, რადგან ტექნოლოგია ძალზე ახალია იმისთვის, რომ გამოვთქვათ რაიმე პროგნოზი ხანგრძლივ პერსპექტივაში ორგანიზმზე მისი ზემოქმედების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, პროფილაქტიკური ღონისძიების სახით, ისინი ურჩევენ ადამიანებს, შეიკავონ თავი მობილური ტელეფონებით ხანგრძლივი საუბრებისგან.

ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დამლევს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დაფუძნებულმა დამოუკიდებელმა კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ მობილური ტელეფონები არ აყენებდნენ ზიანს ადამიანის ჯანმრთელობას, თუმცა, კომისიის წევრებმა ასეთი განცხადებაც გააკეთეს: არის იმის მტკიცებულება, რომ მობილური ტელეფონების მიერ გამოსხივებულმა რადიაციამ შეიძლება არასასიკეთო ეფექტი მოახდინოს ორგანიზმზე.

ბრიტანეთის ხელისუფლება დღესაც არ ურჩევს მოქალაქეებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისარგებლონ მობილური ტელეფონებით, 16 წლამდე ასაკის მოზარდებს კი, ფიჭური ტელეფონებით სარგებლობას ურჩევენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რადგან, მათი ტვინი და ნერვული სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება.

## ალბომში

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბათუმი, 1972 წელი (მარცხნიდან) რეზო ბერიძე, დავით ინწკირველი, რეზო ასათიანი, ლელიკო ქიქოძე, ნოდარ ჯაში.

მოგვაწოდა ლელიკო ქიქოძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## გვემრავლოს!

### გაიზარდონ!

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



– აგვისტოში ჩვენთან 36 ბავშვი დაიბადა – 16 გოგო და 20 ბიჭი. სექტემბრის პირველი დღეც „ბარაქიანი" გვქონდა – ოთხი ვაჟი და ორი გოგონა შეგვეხმიანენ დაბადებისთანავე თავიანთი პირველი შეძახილით, – ექვსივე ჯანმრთელია, – გვაცნობა თბილისის მე-5 სამშობიარო სახლიდან უფროსმა მედდამ იამზე ერისთავმა.

ის-ის იყო ყურმილი დავდეთ, რედაქციაში პირველი შვილის შეძენით სახეგაბადრულმა რუსთაველმა ხუტა ძებისაშვილმა მოგვაკითხა:

– ორი დღეა პირველი შვილის მამა გავხდი. ირაკლი ჯანმრთელი ბიჭი დაიბადა. ჩემი მეუღლეც თავს კარგად გრძნობს. თბილისში, მშენებლობაზე ვმუშაობ, ვიცი – შვილის შენახვა არ გამიჭირდება. თქვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა მოგაკითხეთ, წინასწარ მადლობას გიხდით ჩემი ოჯახის სიხარულის გაზიარებისთვის.

## ცოტაც გავიცინოთ...

ცოლი ეუბნება ქმარს:

– მოდი, როცა ვიჩხუბებთ, ყულაბაში დოლარი ჩავაგდოთ.

– კიდევ რა გინდა! შენ მილიონერი ხომ არ გგონივარ?

* * *

– ქეთი, ვინ გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?

– პატარძალი!

* * *



დედაბერი პოლიკლინიკაში ანალიზების ჩასაბარებლად მივიდა, შარდიან ქილას რომ შეხედა, ექთანმა უთხრა:

– ბებო, ეს ხომ მზესუმზირის ზეთია!

– უი, თვალი დაუდგეს, აი, რატომ ამბობდა ჩემი კაცი, კარტოფილი დაგწვიაო.

* * *

ერთი ქალი შესჩივის მეგობარს:

– შევიტყვე, რომ ქმარი მღალატობს. როგორ ფიქრობ, ვუთხრა მას ამის შესახებ?

– რისთვის? ეს ხომ მას უშენოდაც ეცოდინება.

* * *

ფული რომ გაათეთრო, ფირმა უნდა გააშავო.

* * *

ბანქოს თამაში გატარებული ღამის შემდეგ შინ დაბრუნებულმა ქმარმა ცოლს ახარა:

– იცი, ძვირფასო, დღეს როგორ გამიმართლა კარტის თამაშში? ჩემი ლურჯი კოსტიუმი, რომლის შეკერვაში ორასი ლარი გადავიხადეთ, ექვსას ლარში წავაგე.

* * *

ექიმი პაციენტ ქალს:

– ჰოო, რაღაც არ მომწონხართ.

– ექიმო, არც თქვენ ბრძანდებით მაინცდამაინც ლამაზი!

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

3 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2944 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7924 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2500 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0633 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3882 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3859 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6139 ლარი. |

## მოსაგონარი

### რამოზა ნაყოფია



მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სიკვდილის ამბავი... დამწუხრდა ოჯახი, ნაყოფიების საგვარეულო, ათასობით აფხაზეთიდან დევნილი... ვინც რამოზა ნაყოფიას იცნობდა, ვისაც მასთან თუნდაც ერთხელ შეხვედრის ბედნიერება ჰქონია, ძნელია დაივიწყოს მისი დიდი გულის სითბო, გულისხმიერება, მისი მშვენიერი აღნაგობა, ვაჟკაცური შემართება...

ნაყოფიების დიდებულ საგვარეულოს, დიდი ტრადიციების მქონე ვასო ნაყოფიას ოჯახს გამოაკლდა სამაგალითო მამულიშვილი, ყველას შემწე და მზრუნველი, ხოლო სახლიკაცებს მოსიყვარულე ძმა... განუზომელია ფრთაჩამოვარდნილი ღირსეული მეუღლის, ქალბატონ ლიანა ქარდავას მწუხარება, ერთმანეთზე უკეთესი, უნიჭიერესი შვილების სევდა და ნაღველი, მაგრამ ასე მოინდომა წერამწერალმა, სიკვდილსაც კარგის გამორჩევა უყვარს, ნათქვამია... ამასობაში, ამ მწუხარებაში უკვე ორმოცი დღე გასულა, ძვირფასო რამოზა... შენი სული უკვე მაღლა სასუფეველშია, ზეციურ საქართველოშია... დარწმუნებული ვართ ასრულდება შენი დიდი ოცნება – დავბრუნდებით აფხაზეთში, სიცოცხლე გაგრძელდება, შენი შთამომავლები სასახელო ადამიანებად დაიზრდებიან... ღმერთო, ნათელში ამყოფე რამოზა ნაყოფიას სული!..

ნაყოფიების საგვარეულო

მეუღლე ლია ღლონტი, შვილები სოსო, კობა, მაია, შვილიშვილები რომა, ეკა, ლიკა წულაიები, გიორგი, დათო კიზირიები, დები თინათინი, ენძელა, დეიდა ნანა ქორჩილავა, რძლები ვიოლეტა ფირცხალავა, ლუდმილა წულაია, თამუნა კაჭარავა, მარინა ჭანტურია, გული გოგია, სიძეები გია კიზირია, მოგელი ჭანტურია, თამაზ ყუფარაძე, გოჩა ლორთქიფანიძე, ბადრი კანთელაძე და ახლო ნათესავები იუწყებიან

რომან ხუტას ძე წულაიას

გარდაცვალებას

პანაშვიდი 3 IX, დაკრძალვა 4 IX, კუნძულის უბნის სასაფლაოზე. გამოსვენება 16 სთ, ფოთი, პეტრე იბერის ქ. № 21.

---

ენძელა, დარეჯანი, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით იუწყებიან

რომან წულაიას

გარდაცვალებას.

---

მამუკა და ქეთინო ბაბილუები იუწყებიან სოსო წულაიას მამის

რომან წულაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ქ. ფოთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის კოლექტივები იუწყებიან თანამშრომლის სოსო წულაიას მამის

რომან წულაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს ფრაქცია „დაბრუნების" თავმჯდომარეს ბატონ რუდიკ ცატავას სიმამრის

ოთარ ზოზისვანიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორატი, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთისა" და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმები, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორის, სამაგალითო და ღირსეული მამულიშვილის

ბიძინა ლუტიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

---

შპს „თბილმეტრომშენის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „თბილმეტრომშენის" ყოფილი თანამშრომელი

თენგიზ მიქელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ამინდი დღეს

| 3 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 26° | 17° |
| ბათუმი | 26° | 15° |
| სოხუმი | 27° | 16° |
| ქუთაისი | 24° | 14° |
| თელავი | 21° | 13° |

## ხსოვნა

### რომან წულაია



ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ერთ-ერთი ძირძველი ფოთელი, ყველასთვის სასურველი და მისაღები პიროვნება ბატონი **რომან წულაია.** მისი სახით ოჯახმა დაკარგა ერთგული მეუღლე, მზრუნველი და მოსიყვარულე მამა და ბაბუა. ქალაქმა კი ერთ-ერთი შესანიშნავი მოქალაქე.

ბატონმა რომანმა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს დაიწყო მუშაობა ფოთის გემთმშენებელ-გემშემკეთებელ ქარხანაში. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა საქვეყნოდ ცნობილ საწარმოში მუშაობას, სადაც იმუშავა 1994 წლამდე, მან რიგითი მუშაკიდან განვლო გზა ქარხნის ერთ-ერთი საამქროს უფროს ოსტატამდე. მუშაობაში მის მიერ მიღწეული შთამბეჭდავი წარმატებები არაერთხელ აღნიშნულა ქარხნის ხელმძღვანელობისა და ზემდგომი ორგანოების მხრიდან.

ბატონი რომანი თანამოსაქმეებს შორის ცნობილი იყო, როგორც გულისხმიერი, თანამდგომი და მხარდამჭერი ხელმძღვანელი, რის გამოც იგი სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ასეთი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ადამიანი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განუკურნებელმა სენმა სარეცელს მიაჯაჭვა და მოსწყვიტა საზოგადოებასა და აქტიურ საქმიანობას.

მეგობრებმა ბატონი რომანის სახით დავკარგეთ ერთ-ერთი უღალატო, ნაღდი და საიმედო მეგობარი. ქცევის დახვეწილი მანერების მატარებელი კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება კაცური კაცის სახელით იცხოვრა.

ბატონ რომანის სახელი, თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების გამო, დავიწყებას არ მიეცემა და დიდხანს დარჩება მისი საყვარელი ფოთელების მეხსიერებაში.

მშვიდობით, ძვირფასო და დაუვიწყარო მეგობარო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი მშობლიური ქალაქის მიწა. უფალმა ნათელში გამყოფოს.

მეგობართა ჯგუფი

### ნუგზარ გაბინაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის დაკვირვების სახელმწიფო ქსელისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბატონი **ნუგზარ გაბინაშვილი.**

ნუგზარ გაბინაშვილი დაიბადა 1949 წლის 18 მარტს ქ. თბილისში. 1966 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 111-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1971 წელს.

ბატონმა ნუგზარმა მთელი თავისი შრომითი საქმიანობა ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროს დაუკავშირა, სადაც განვლო შემოქმედებითი გზა ტექნიკოს-დამკვირვებლიდან სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობამდე. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების სახელმწიფო ქსელის ფორმირებაში, მან წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიის დარგის განვითარებაში.

წავიდა ჩვენგან ღირსეული და კეთილშობილი მოქალაქე, უმაღლესი დონის პროფესიონალი, ქვეყნისა და ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროს დაუკავშირა, სადაც განვლო შემოქმედებითი გზა ტექნიკოს-დამკვირვებლიდან სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობამდე. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების სახელმწიფო ქსელის ფორმირებაში, მან წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოში ჰიდრომეტეოროლოგიის დარგის განვითარებაში.

წავიდა ჩვენგან ღირსეული და კეთილშობილი მოქალაქე, უმაღლესი დონის პროფესიონალი, ქვეყნისა და ჰიდრომეტეოროლოგიური დარგის დიდი პატრიოტი.

ბატონი ნუგზარის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი;
ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სამსახური;
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

### ზინაიდა ანთაძე



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, წავიდა ჩვენგან ქართული სამეანო სამსახურის ერთ-ერთი მოამაგე და უშურველი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენოსანი **ზინაიდა შალვას ასული ანთაძე.**

მისთვის დამახასიათებელი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ნახევარი საუკუნე იღვაწა თბილისის № 1 სამშობიარო სახლში – თავის მეორე ოჯახში. სადაც ეჭირა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა.

დიდბუნებოვანი, კეთილშობილებით აღსავსე ქალბატონი ზინა ანთაძე მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებითა და პროფესიონალიზმით ყოველთვის წარმოადგენდა თვალსაჩინო მაგალითს ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის. მას იცნობდნენ, როგორც არაჩვეულებრივ პიროვნებას – იყო უკიდეგანო სიკეთისა და სიყვარულის გამღები, ხელგაშლილი და გულუხვი, გაჭირვებულთა თანამდგომი, მოწყალე და გულისხმიერი, ადვილად რომ გაენდობოდი და უმალ მალამოდ დაედებოდა შენს სატკივარს, გაგამხნევებდა და ჯავრს გადაგყრიდა და ეს მაშინ, როცა თავად დაატარებდა დიდ ტკივილს სრულიად ახალგაზრდა ვაჟიშვილის დაკარგვის გამო, მაგრამ სხვისთვის სიხარულის მინიჭების უნარი მისი ცხოვრების ნორმა იყო.

წავიდა ჩვენგან ზინაიდა ანთაძე. ახლა შეიძლება მხოლოდ მოკრძალებული სამადლობელი ითქვას მისი შეუპოვარი, დაუღალავი, დიდი და საჭირო კეთილშობილური შრომისავთის, რომელიც ღირსეულმა ქალბატონმა წლების მანძილზე გასწია ერის მომავლის სამსახურში.

ახლა ნუგეშად ის გვრჩება, რომ იგი ახლობლებისა და მეგობრების სიყვარულითა და ალალი ცრემლით გავაცილეთ იმქვეყნიურ სასუფეველში თავის უსაყვარლეს შვილთან და მეუღლესთან.

შევთხოვთ უფალს, მსუბუქად მიიბაროს მისი ტანჯული სული.

მეგობრები.

### ბიძინა ლუტიძე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიამ, ქართულმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს. სიცოცხლის მე-80 წელს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ბიძინა ლუტიძე.**

ბიძინა ლუტიძე დაიბადა 1925 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა ალისუბანში. 1942 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. 1942-45 წლებში იბრძოდა მსოფლიო ომში რუსეთის სხვადასხვა ფრონტზე. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1953 წლიდან მუშაობდა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1970 წლიდან 2004 წლამდე ხელმძღვანელობდა სოციალური ფილოსოფიის კათედრას. წლების მანძილზე იყო ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1965 წელს გახდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, 1967 წლიდან – პროფესორი. 1985 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; 1995 წელს აირჩიეს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბიძინა ლუტიძის სამეცნიერო კვლევის სფერო იყო სოციალური ფილოსოფია. ის იკვლევდა პიროვნების ფორმირების, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის, თაობათა კავშირის, საზოგადოების განვითარების და სხვა მსგავს საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 15 მონოგრაფია, სახელმძღვანელოები და მრავალი სამეცნიერო სტატია. მისი ძირითადი მონოგრაფიებია: „შრომა და ადამიანი" (1967 წ.), „თაობათა ურთიერთობა საზოგადოებაში" (1972 წ.), „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები" (1988 წ.), „კოლექტივი და პიროვნება (1979 წ.), „სოციოლოგიის შესავალი" (1996 წ.), „სოციოლოგიური აზრის ისტორია" (2000 წ.), „გლობალიზაცია: არსი, პრობლემები" (2002 წ.), „სოციოლოგია, პირველი ნაკვეთი" (2002 წ.), „სოციოლოგია, მეორე ნაკვეთი" (2004 წ.).

ბიძინა ლუტიძე, ხანდაზმულობის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერგიით შეხვდა მეოცე საუკუნის დასასრულის მკვეთრ ისტორიულ ძვრებს, ღირებულებათა დიდ გადაფასებას; დაინტერესდა ახალი საჭირბოროტო პრობლემებით, სოციალური ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვან პრობლემათა ახალი, აქტუალური ასპექტებით. სტუდენტებს, ასპირანტებს, კათედრის წევრებს მოუწოდებდა თანამედროვე გარდაქმნათა საფუძვლიანი და მიუკერძოებელი ანალიზისკენ. ცდილობდა თანამედროვე ეპოქის არსის გარკვევას ფილოსოფიურ დონეზე, ფილოსოფიურად საკითხისადმი მისი მიდგომა მუდამ გამოირჩეოდა კონკრეტულ მოვლენებთან ცოცხალი კავშირით. ურთულეს ფილოსოფიურ პრობლემებს, როგორც წესი, საქართველოს თანამედროვე სინამდვილესთან აკავშირებდა. მისი ფილოსოფიური გონება და წარმოსახვა ერთთავად ჩვენი ქვეყნის აწმყოსა და მომავალს დასტრიალებდა.

ღირებულებათა მკვეთრი გადაფასების ხანაში ხშირად თავს იჩენს დაბნეულობა. საჭირო ხდება ფილოსოფიური დისკუსიები. ბატონი ბიძინა იყო ამ დისკუსიების არა მხოლოდ აქტიური მონაწილე, არამედ ერთ-ერთი მთავარი წამომწყები და წარმმართველი. აქ მისი პოზიცია ხასიათდებოდა განსაკუთრებული სინათლითა და დამაჯერებლობით, აგრეთვე – ბრძნული ზომიერებით, ამგვარი მიდგომით მან გადაიაზრა სოციალური ფილოსოფიის მთელი პრობლემატიკა და შექმნა ამ კურსის სქელტანიანი სახელმძღვანელოები ორ ნაკვეთად. ამ შრომას დიდი ძალა შეალია. სამაგიეროდ შეიქმნა სტუდენტების, ასპირანტებისა და კოლეგებისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნები.

ის უშურველად და უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდასა და განათლებას. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა უამრავი მაგისტრანტი, ასპირანტი, მეცნიერებათა კანდიდატი. იყო ნათლად და ტკბილად მეტყველი ლექტორი, თავაზიანი, კეთილმოსურნე, მომხიბვლელი, ხავერდოვანი ბუნების ადამიანი.

ასეთად ეხსომებათ ბატონი ბიძინა ყველას, ვისაც კი თუნდაც უბრალო ნაცნობობა ჰქონია მასთან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი;
თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტი;
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია;
თსუ ვეტერანთა საბჭო.




აქ შეიძლებოდა თქვენი რეკლამა ყოფილიყო!

ყველაზე ხელსაყრელი და ეფექტიანი რეკლამა გაზეთში

მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 932813; ტელ: 931563. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 6 სექტემბერს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ალეკო ასლანიშვილი.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.